# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 27 მარტი 2003 №53 (1824) | ფასი 50 თეთრი


# როგორ იმუშავებს მთავარი გენერატორი?

## საქართველოს ნაკრები ხალხისთვის ენერგიის წყაროა



დღეს- ხვალ და, ზეგ კი ქომაგი საქართველო — ირლანდიის სანახავად „ლოკომოტივისკენ“ დაიძრება. ჯერჯერობით საქმეს ისეთი პირი უჩანს, პოლიციასაც ცოტა საქმე ექნება და არც ჭყლეტვაში აანყვეტენ ვინმეს ღილებს — თამაშამდე ორი დღით ადრე რკინიგზის დეპარტამენტმა, ვისაც ეს თამაში აბარია, მხოლოდ ხუთასამდე ბილეთის გაყიდვა მოახერხა. უპრიანი კი იქნებოდა, რკინიგზელებს ბილეთებისთვის უფრო გონივრული ფასი დაედოთ. თუმცა არა უშავს, ბოლოს და ბოლოს ,ძველსაბჭოური მეთოდით ბილეთების საკუთარ თანამშრომლებში გავრცელებაც შეიძლება. სამაგიეროდ, შეუძლებელია, რკინიგზელებს ერთ რამეში არ დაეთანხმო — თამაში გენერატორების შუქზე ჩატარდება, ჩვენი ენერგეტიკის იმედი კი ჩვენს მტერს, უფრო სწორად, ჩვენს მთავრობას ჰქონდეს.

ასეა თუ ისე, თამაში ჩატარდება და 90 წუთით ტელევიზორთან მიმჯდარ ქომაგს არასაფეხბურთო პრობლემები მხოლოდ მაშინ გაახსენდება, რეპორტაჟისას დენი თუ გაუთიშეს, ხოლო სტადიონზე მისულ ქომაგს , საქართველოს ნაკრებმა შეეიცარიულად თუ ითამაშა, შეიძლება ბილეთში გადახდილი ფული გაახსენდეს და გამოიტიროს.

ერთი სიტყვით, ახლა ყველაფერი დამოკიდებულია ფეხბურთელებსა და მათ მწვრთნელზე, რომლებიც მესამე დღეა, ვარჯიშობენ, გუშინ კი ნაკრების მშენებარე ბაზაზე პრესკონფერენცია მოაწყვეს.

პრესკონფერენციაზე ახალი არაფერი თქმულა. უფრო სწორად, ალექსანდრე ჩივაძემ მეტოქე მისხალ-მისხალ გაარჩია, საქართველოს ნაკრებზე ლაპარაკს კი ტრადიციულად ტაბუ დაადო და ტრადიციულ ფრაზებს დასჯერდა, თამაში მნიშვნელოვანია, მძიმეა და მოგებას უნდა ვეცადოთო. ისე, ჩივაძემ საქართველოს ნაკრების კოზირებიც ახსენა, თუმცა, ირლანდიელებმა არ შეიტყონო და, აღარ დააკონკრეტა. ცნობილია, რომ მეტოქეს ერთბაშად რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელი გამოაკლდა და ამის გარდა საქართველოს ნაკრებს რა კოზირები აქვს, შაბათს გამოჩნდება.

ირლანდიელები კი თბილისში დღეს საღამოს ჩამოვლენ.

# დრაჟენ ბრაიკოვიჩს ორ დღეში სამი თანამდებობა მისცეს



დრაჟენ ბრაიკოვიჩი: საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი, კალათბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი და თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელი

## დინამიური მომენტი

## ნაკრების მწვრთნელი დინამომ დანიშნა



ნაკრების საბაზო გუნდ „დინამოში“ დრაჟენ ბრაიკოვიჩს ოთხი უცხოელი დახვდა

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
ჩვენი მეტოქეები

# ბრაიან კერს სასწრაფო დახმარება დასჭირდა

## მწვრთნელმა ორი გაუშვა, ოთხი წაიდა





სტივ ფინანი (№2) და ჯეისონ მაკატირი დღეს თბილისში ვერ ჩამოვლენ

საქართველოს საშაბათო მეტოქე ირლანდიის ნაკრები თბილისს დუბლინიდან დღეს შვიდ საათზე ჩარტერული რეისით ეწვევა და საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაციით სასტუმრო „მარიოტში“ დაბინავდება.

ირლანდიელებმა ქართველებთან მატჩისთვის მზადება გუშინწინ დუბლინის გარეუბანში დაიწყეს. მწვრთნელ ბრაიან კერს, რომლის ოფიციალური სანაკრებო დებიუტიც სწორედ თბილისში შედგება, თავიდან 23 ფეხბურთელი ჰყავდა გამოძახებული, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ტრავმების გამო ოთხნი — ლიდსელები კელი და ჰარტი, სანდერლენდელი მაკატირი და ბირმინგემელი მორისონი საქართველოსთან თამაშს ვერ შეძლებდნენ. კიდევ ორი — ფულემელი ფინანი და მილუოლელი რიდი კი მწვრთნელს შეკრებიდან გაუბრუნებია, თან მიუყოლებია, თქვენი მომზადების დონე არ მაკმაყოფილებსო.

— ფინანი და რიდი დუბლინში დათქმულ დროს გამოცხადნენ, გუნდთან ერთად ივარჯიშეს კიდეც, თუმცა კერმა ისინი კლუბებს დაუბრუნა, ნაკრებში სათამაშოდ მზად არ ხართო. მწვრთნელი შეაშფოთა ლიდსიდან მოსულმა ამბავმაც — დაშავებულან მცველები: გარი კელი და იან ჰარტი. ამჟამად ირლანდიის ნაკრებში 21 ფეხბურთელი ვარჯიშობს, ტრავმირებულთა და დაწუნებულთა ნაცვლად კერმა ხუთი ახალი ფეხბურთელი გამოიძახა — გვითხრა ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრესსამსახურის უფროსმა ბრენდან მაკენამ გუშინ, როცა დუბლინში დავუკავშირდით. მისივე თქმით, ჯერაც გაურკვეველია თბილისში წამოვა თუ არა ირლანდიელთა მრისხანე ფორვარდი რობი კინი. მას, როგორც ვიუწყებოდით, მამა გარდაეცვალა. ისე კი, კინმა საქართველოსთან რომც ითამაშოს, სასურველ ფორმაში არ არის, ეს ირლანდიელთა მწვრთნელმა „სარბიელთან“ ინტერვიუშიც აღნიშნა.

ახლა იმ ხუთ ფეხბურთელზე, რომლებიც კერმა სასწრაფოდ გამოიძახა და გუნდს გუშინ შეუერთდნენ. ხუთიდან ოთხნი — „როტერჰემის“ ალან ლი, „შეფილდ უენსდის“ ალან ქუინი, „არსენალიდან“ „ბრაიტონში“ განათხოვრებული გრემ ბარეტი და ლიდსელი სტივენ მაკფაილი ნახევარმცველები არიან, რიჩარდ დანი კი „მანჩესტერ სიტის“ მცველია. ლი და ქუინი ეროვნული გუნდის დებიუტანტები არიან, ასევეა ბარეტიც, მას ირლანდიის 19-წლამდელთა ნაკრებში ბრაიან კერის დროს 21-ჯერ უთამაშია და მწვრთნელმა ამ ფეხბურთელის შესაძლებლობები კარგად იცის.

— კერმა ნაკრებში ერთბაშად სამი დებიუტანტი გამოიძახა. მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ისინი გუნდს დღეს დილით შეუერთდნენ და საღამოს ივარჯიშებენ — გვითხრა ბრენდან მაკენამ და დასძინა, რომ ირლანდიის ნაკრებში ისეთი საბრძოლო განწყობაა, როგორც გადამწყვეტი მატჩის წინ — ფეხბურთელებმა კარგად იციან საქართველოსთან მატჩის მნიშვნელობა და მხოლოდ მოსაგებად ითამაშებენ. ისინი საომრად ემზადებიან და წარმატებისა ეიმედებათ.

აი, ასეთი ამბები გვითხრა ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის პრესსამსახურის უფროსმა და ერთი-ორჯერ საქართველო-ირლანდიის მოსალოდნელ საფეხბურთო ომთან ერთად ერაყულიც ახსენა:

— საქართველოში გამომგზავრების წინ ერაყში ომის დაწყებამ ასოციაციის ზოგიერთი თანამშრომელი კი აანერვიულა, მაგრამ მალევე დამშვიდნენ. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში არაფერი გვემუქრება.

**კობა ინასარიძე**

### ირლანდია

| | | | |
|---|---|---|---|
| **მეკარეები** | | | |
| შეი გივენი | ნიუკასლი, ინგლისი | 47 | 0 |
| დინ კელი | ჩარლტონი, ინგლისი | 8 | 0 |
| ნიკ კოლგანი | ჰიბერნიანი, შოტლანდია | 2 | 0 |
| **მცველები** | | | |
| სტივენ კარი | ტოტენჰემი, ინგლისი | 19 | 0 |
| გარი ბრინი | ვესტ ჰემი, ინგლისი | 51 | 6 |
| ენდი ობრაიენი | ნიუკასლი, ინგლისი | 6 | 0 |
| კენი კანინგემი | ბირმინგემი, ინგლისი | 44 | 0 |
| ჯონ ოში | მანჩესტერი, ინგლისი | 3 | 0 |
| რიჩარდ დანი | მანჩესტერ სიტი, ინგლისი | 16 | 3 |
| **ნახევარმცველები** | | | |
| ლი კარსლი | ევერტონი, ინგლისი | 23 | 0 |
| კოლინ ჰელი | სელტიკი, შოტლანდია | 7 | 1 |
| მარკ კინსელა | ასტონ ვილა, ინგლისი | 36 | 3 |
| მეტ ჰოლანდი | იფსვიჩი, ინგლისი | 28 | 4 |
| კევინ კილბეინი | სანდერლენდი, ინგლისი | 41 | 4 |
| სტივენ მაკფაილი | ლიდსი, ინგლისი | 7 | 1 |
| ალან ლი | როტერჰემი, ინგლისი | 0 | 0 |
| ალან ქუინი | შეფილდ უენსდი, ინგლისი | 0 | 0 |
| **თავდამსხმელები** | | | |
| რობი კინი | ტოტენჰემი, ინგლისი | 40 | 14 |
| დემიენ დაფი | ბლექბერნი, ინგლისი | 33 | 2 |
| გარი დოჰერტი | ტოტენჰემი, ინგლისი | 14 | 2 |
| დევიდ კონოლი | უიმბლდონი, ინგლისი | 35 | 8 |
| გრემ ბარეტი | ბრაიტონი, ინგლისი | 1 | 0 |

# COME ON IRELAND

## როი კინმა ირლანდია მანჩესტერიდან შეაგულიანა

**საქართველოში** წასასვლელად გამზადებულ ბრაიან კერს როი კინმა წარმატება უსურვა

როი კინი ორშაბათს ბრაიან კერს შეეხმიანა და საქართველოსთან და ალბანეთთან უმნიშვნელოვანეს მატჩებში მას და ირლანდიის ნაკრებს გამარჯვება უსურვა. ზუსტად არ ვიცით, კინმა ნაკრების მენეჯერს ტელეფონით დაურეკა თუ მის პეიჯერზე მესიჯი გაგზავნა, მაგრამ ყოფილ თანაგუნდელებს თანადგომა ნაღდად აღუთქვა.

ამ ცნობამ ეგებ გაუძლიეროს კინის ნაკრებში დაბრუნების იმედი ირლანდიის ნაკრების იმ ქომაგებს, რომლებიც დღესაც მიიჩნევენ, კინის სანაკრებო კარიერის დასრულების თაობაზე გაკეთებული განცხადება საბოლოო არ არისო. ეს ადამიანები ფიქრობენ, რომ თუ ირლანდია საკვალიფიკაციო ეტაპს გადალახავს, შესაძლოა, კინი პორტუგალიაში თამაშს დათანხმდეს.

არადა, ჩვენ გვახსოვს კინის ბოროტი მზერა, როცა ის ნაკრების ყოფილ მენეჯერ მიკ მაკარტის წაეჩხუბა და სამარცხვინოდ გააბრუნეს მსოფლიოს ჩემპიონატიდან. საერთოდ კი, კინს არასდროს ადარდებდა თავისი ქვეყანა და ადამიანები ხედავდნენ, როგორ სეირნობდა ის ქუჩაში ძაღლთან ერთად, როდესაც ირლანდიის ნაკრები მნიშვნელოვან მატჩებს ატარებდა.



როი კინი

კინმა უარი თქვა მაკარტის გუნდში თამაშზე, ბრაიან კერის დანიშვნის მერე თითქოს თანხმობა განაცხადა, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა. მან ეს გადაწყვეტილება ბოლო დროს გახშირებული ტრავმებით ახსნა.

ახლა კი კინი ამტკიცებს, რომ პატრიოტია. შაბათს საქართველოსთან და მომავალ ოთხშაბათს ალბანეთთან მატჩებში კერისთვის გამარჯვების სურვება, ამას უნდა ნიშნავდეს. ფეხბურთელის წარმომადგენელმა მაიკლ კენედიმაც თქვა: „შესაძლოა, ზოგი ფიქრობს, რომ როის ირლანდია არ უყვარს — ეს ასე არ არის“.

კინი რომ თავის იმიჯზე ზრუნავს, ამის დასტურია ახლახან მომხდარი ერთი ამბავიც. ის დაჟინებით ურჩევდა თავის მანჩესტერელ თანაგუნდელ დარენ ფლეტჩერს, რომელიც შოტლანდიელია, ირლანდიის ნაკრებში ეთამაშა. თუმცა ფლეტჩერმა მის რჩევას არ დაუჯერა.

**ნილ ორიორდანი**



სტეფან ანშო

### შვეიცარია

ირლანდიის შემდეგ ალექსანდრე ჩივაძის სამწყსო 2 აპრილს შვეიცარიას უმასპინძლებს. ბრაიან კერის არ იყოს, შვეიცარიის ეროვნული გუნდის მწვრთნელი იაკობ კუნიც ტრავმებისგან განახევრებულ გუნდს ჩამოუძღვება საქართველოში.

შვეიცარიელები თბილისში 31 მარტს ჩამოფრინდებიან და სასტუმრო „მარიოტში“ დაიდებენ ბინას.

კუნს თბილისში 19 ფეხბურთელის ჩამოყვანა განუზრახავს, შერჩეული კი ჩვიდმეტი ჰყავს. მწვრთნელს უთქვამს, შვეიცარიის თასის მატჩები რომ ჩამთავრდება (შეხვედრები გუშინ გაიმართა), იმ ორის ვინაობასაც მაშინ გავამხელო.

გითხარით, ჩივაძის კოლეგას გუნდი შეუთხელდაო, შვეიცარიელებს ტრავმებმა დარიათ ხელი — გერმანიაში მობურთალი, ბრემენის „ვერდერის“ ნახევარმცველი ლუდოვიკ მანინი, „ციურიხის“ მცველი სტეფან კელერი და ასევე უკანახაზელი სებასტიან ფურნიე „სერვეტიდან“, რა ხანია, დაშავებულნი არიან. ეს სამეული ნაკრებში წამყვანად ითვლება და კუნმაც ასე თუ ისე მათი შემცვლელები იპოვა. აი, გასწევენ თუ არა პასკალ ბორერი და მარკო ცვისიგი შტილ-ანშოს მაგივრობას, თავად მატჩი გვიჩვენებს.

ერთი სიტყვით, გადაწყვეტილი ამბავია: შვეიცარიის ნაკრების ძირითადი მეკარე იორგ შტილი არ ითამაშებს. მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ გოლკიპერი გადამეტებული ყვითელი ბარათების გამო დისკვალიფიცირებულია. კუნმაც მეორე მეკარედ „გრასჰოპერიდან“ ბორერი კი იხმო, მაგრამ პირველი, სავარაუდოდ, „ბაზელის“ პასკალ ცუბერბიულერი იქნება.

იაკობ კუნის კიდევ ერთი დანაკლისი „ლივერპულის“ ცენტრალური მცველი და გუნდის კაპიტანი სტეფან ანშოა. შტილის დარად, თბილისში ვერც ანშოს ვიხილავთ. სტეფანი რა ხანია, დამტვრეულია, ჟერარ ულიეც „ლივერპულში“ მის ადგილზე ჯიმი ტრაორეს ათამაშებს. სარეაბილიტაციო კურსი ნორმალურად მიდის და მალე ანშოს ძუნძულის ნებას დართავენ. მწვრთნელმა მის ნაცვლად ჩემპიონ „ბაზელიდან“ კიდევ ერთ ფეხბურთელს უხმო — 32 წლის მცველ მარკო ცვისიგს ეროვნულ გუნდში 15-ჯერ უთამაშია, ბოლოს ცვისიგს შვეიცარიის ნაკრების წითელი კვართი შარშანდელ მაისში ემოსა კანადასთან მატჩში.

თბილისში კი უეჭველად მოდის კობიაშვილ-ცქიტიშვილ-იაშვილის ფრაიბურგელი თანაგუნდელი ბრუნო ბერნერი. თანაგუნდელიო კი ვთქვით, მაგრამ ბერნერს თურმე ორმაგი მოტივაცია ამოძრავებს — იგი „ფრაიბურგში“ მარცხენა მცველია, ზოგჯერ ფოლკერ ფინკე ამავე ფლანგზე ნახევარდაცვაშიც ასწევს-ხოლმე, მაგრამ ბრუნოს იშვიათად უწევს თამაში. რატომ? მისი კონკურენტი არც მეტი, არც ნაკლები, „ფრაიბურგის“ კაპიტანი ლევან კობიაშვილია. ქვევით კი იმ 17 ფეხბურთელის ვინაობას გაეცანით, რომელთა თბილისში ჩამოსვლაც გადაწყვეტილი ამბავია.

# ბერნერი კობიაშვილს თბილისში დაუმტკიცებს

**გიორგი ვაჩნაძე**

*მეკარეები:* ფაბრის ბორერი (გრასჰოპერი), პასკალ ცუბერბიულერი (ბაზელი);

*მცველები:* ბერნტ ჰაასი (ბაზელი), რემო მაიერი (მიუნხენი, გერმანია), პატრიკ მიულერი (ლიონი, საფრანგეთი), მურატ იაკინი (ბაზელი), ბრუნო ბერნერი (ფრაიბურგი, გერმანია), მარკო ცვისიგი (ბაზელი);

*ნახევარმცველები:* რიკარდო კაბანასი (გრასჰოპერი), ფაბიო სელესტინი (მარსელი, საფრანგეთი), იოჰან ფოგელი (პსვ ეინდჰოვენი, ჰოლანდია), რაფაელ ვიკი (ჰამბურგი, გერმანია), ჰაკან იაკინი (ბაზელი), მარიო კანტალუპი (ბაზელი);

*თავდამსხმელები:* შტეფან შაპუიზა (იანგ ბოისი), ალექსანდრ ფრეი (რენი, საფრანგეთი), ლეონარ ტურე (სერვეტი)

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი
უნიონი 0:0 როიტლინგენი

### იტალია

სერია C1/B
გადადებული მატჩი
ლანჩანო 3:1 ვიტერბეზე

### შვეიცარია

A ჯგუფი. გადადებული მატჩი
სერვეტი 2:1 ციურიხი
თასის 1/4 ფინალი
ვილი 0:2 ძაგაძსი
იანგ ბოისი 3:4დ.დ. (3:3) ბაზელი
ლუცერნი 1:2 გრასჰოპერი

### ამხანაგური მატჩი

ავსტრია 2:2 საბერძნეთი

### შოტლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
რეითი 0:1 სტენჰაუზმური

### დანია

სუპერლიგა
გადადებული მატჩი
ვიბორგი 1:3 ფარუმი

# საშა ექიმის დიაგნოზი: ირლანდიას შეკრულობა სჭირს

## არ დაგავიწყდეთ ჩემი სტილი!



ბადრი კოშორიძის ფოტო

*უკვე მესამე დღეა, რაც საქართველოს ეროვნული ნაკრები შეკრებაზეა „დინამოს" დიღმის ბაზაზე. გუშინ კი ალექსანდრე ჩივაძემ და ფეხბურთელებმა ნაკრების მშენებარე ბაზაზე გვიმასპინძლეს.*

*მწვრთნელ-ფეხბურთელებმა ჯერ შენობის თითოეული სართული დაათვალიერეს, მერე კი ერთ დიდ ოთახში შეუყარენით – ჩივაძე და მოთამაშეები კინოეკრანივით გადაიშალნენ ზეწრისფერ კედელზე და პრესკონფერენციაც ბატონმა საშამ მადლობით დაიწყო*



ბადრი კოშორიძის ფოტო

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა მშენებარე ბაზაზე პირველად შედგეს ფეხი

— დიდი მადლობა მობრძანებისთვის. აქ იმიტომ გადავწყვიტეთ მოსვლა, რომ გვსურდა, ფეხბურთელებსაც ენახათ ბაზა. მშენებლებმა გვითხრეს, ერთ თვეში ყველაფერს დავასრულებთო — ეს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ბაზა იქნება.

— წინ ორი უმძიმესი მატჩი გველის, ცხადია, თითოეული მათგანი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი სატურნირო მდგომარეობაც იმისკენ გვიბიძგებს, რომ ამ ორ თამაშში მაქსიმუმი გავიღოთ.

— იმას, რომ ირლანდიის ნაკრებს შესაძლოა ხუთი წამყვანი მოთამაშე გამოაკლდეს, ორი მხარე აქვს. როცა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ როი კინი ნაკრებს ჩამოაშორეს, ამან პირიქით, დადებითად იმოქმედა ირლანდიის გუნდზე — მათი ნაკრები უფრო შეკრული და მობილიზებული გახდა. რობი კინიც ირლანდიისთვის დიდი ძალაა, მაგრამ ირლანდიელთა ხასიათიდან გამომდინარე, ამან შეიძლება კიდევ უფრო შეკრას მათი ეროვნული ნაკრები.

— ჩვენთვის ირლანდიასთან თამაში იქნება ომი და ბრძოლა — ყველამ ხომ კარგად ვიცით, თუ რა ბრძოლისუნარიანი მეტოქე.

— რაც შეეხება იმას, თუ რა კოზირები გვაქვს ირლანდიელთა წინააღმდეგ, განა ამაზე ღიად ლაპარაკი პრესკონფერენციაზე შეიძლება?! ისე კი, ჩემ თაობასაც მოგვიწია ბრიტანული სტილის გუნდებთან თამაში და საკმაოდ წარმატებითაც — „ლივერპული", „ვესტ ჰემი", „კარდიფ სიტი"... ამ თაობამ კი უელსს მოუგო ორჯერ. ერთი სიტყვით, რაც დაგვიგროვდა, ისიც უნდა გამოვიყენოთ.

ხანმოკლე პრესკონფერენციის მიწურულს, ბატონმა საშამ ირლანდიის ნაკრები რგოლების მიხედვით ჩამოარაკრაკა და „დაარახბორა" — საქართველოს ნაკრების მთავარსარდალს ირლანდიელი ფეხბურთელების გვარები მახსოვდაც და, კარგად აუთვისებია — ხარკახსი და იუმორი პრესკონფერენციის მაგვარი ლონისძიებაზე მწირად როდი იყო.

თოვლ-ჭყაპის მიუხედავად, ტალახის ზელვა არც აგრარული უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტმა იუკადრა — მათ აიყულობით მეტრი გაიარეს საქართველო ნაკრების თვალყურისთვის.

**დავით თავართქილაძე**

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. X ჯგუფი

# საქართველო — ირლანდია

**თბილისი. ეროვნული. 28 მარტი. 16 საათი**

*ხვალ რევაზ არველაძის გაწვრთნილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები პირველ ოფიციალურ მატჩს გამართავს ირლანდიელ თანატოლებთან. მეათე შესარჩევ ჯგუფში ორივე მატჩის წაგებები ქართველები მონდომებით ემზადებიან კელტებთან საომრად და უიმედოდ სულაც არ არიან*

## მატება გამოკლებით

## არველაძემ ახალგაზრდა ირლანდია გაიცნო



გურამ ცქიტიშვილის ფოტო

რევაზ არველაძე

**რევაზ არველაძის** გასახარად, გუშინ ნაკრებს კიდევ ორი ფეხბურთელი — გიორგი დეკანოსიძე და ედიკ საჯაია შეუერთდნენ. მათ უკვე ივარჯიშეს გუნდთან ერთად და სახვალიო მატჩისთვის ჩვეულად ემზადებიან. ფიურტელ დეკანოსიძეს და ჯერაც მოსკოვის ტორპედოელ საჯაიას თბილისში ჩამოსვლა კი დაუგვიანდათ, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

ზაპოროჟიეს „მეტალურგის" თავდამსხმელი ირაკლი მოდებაძე ტრავმირებული ეწვია ნაკრებს, ახლა კი მტკივანი კოჭი ოდნავ დაუცხრა და შესაძლოა, ირლანდიელთა წინააღმდეგ ითამაშოს კიდეც. თუმც მისი საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი ჯერაც არაა. ვარჯიშებზე მოდებაძე ზედმეტ დატვირთვებს ერიდება და მწვრთნელები მხოლოდ დღეს გაარკვევენ, შეძლებს თუ არა იგი თამაშს. ასევე საეჭვოა ვიტჯორჯიელი ალექსანდრე ინწკირველის თამაში. ვეტერინართა მცველის ბედი მხოლოდ სამედიცინო შემოწმების შემდეგ გადაწყდება.

უკვე ბეჭედდასმული ამბავია — თენგიზ უგრეხელიძე ნაკრებს ვერ დაეხმარება, პირველივე ვარჯიშზე ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. ექიმების თქმით, უგრეხელიძე მკურნალობას საჭიროებს და მისი თამაში ირლანდიის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ გამორიცხულია.

გუშინდელი ვარჯიშის შემდეგ რევაზ არველაძემ და მისმა თანაშემწეებმა ფეხბურთელებთან ერთად ხვალინდელი მეტოქის თამაშის ვიდეოფირი ნახეს და დადებით-უარყოფითი მხარეები გაარჩიეს. ბიჭებმა შოტლანდია — ირლანდიის (2:0) თამაშით შეიქმნეს შთაბეჭდილება მეტოქეზე.

ასე რომ, ქართველები ხვალინდელი ჯახისთვის სერიოზულად ემზადებიან და წარმატების იმედიც აქვთ. დღეს არველაძე მატჩისწინა ბოლო ვარჯიშს ჩაუტარებს შეგირდებს საფეხბურთო აკადემია „ოლიმპის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე. წვრთნა ხუთის ნახევარზე დაიწყება.

ხვალ კი მატჩია... საქართველო — ირლანდიის ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრას „ეროვნული" უმასპინძლებს.

**ძაბა ზალამბერიძე**





დონ გივენსს კევინ ოკონორის ეიმედება, თომას ბატლერს კი ძირითადში მოსახვედრად ტრავმა უშლის ხელს

## ოკონორი ნაღდია, ბატლერი საეჭვო



**რევაზ არველაძის** დარად ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობა დაასახელა ირლანდიელთა მწვრთნელმა დონ გივენსმაც. მისი რჩეული სულ 20 ფეხბურთელია. მწვრთნელმა გუნდში უხმო „სანდერლენდის" განაპირა შემტევ თომას ბატლერს, მოუღლელ და ენერგიულ ფეხბურთელს, თუმც მისი თამაშიც საეჭვოა — თბილისში გამომგზავრების წინ ვარჯიშზე დაშავებულა.

როგორც ირლანდიური მედია იტყობინება, დონ გივენსი ძირითადში „ბრენტფორდის" თავდამსხმელ კევინ ოკონორს აუცილებლად გაამწესებს, ხოლო ვინ იქნება მეორე ფორვარდი, დელი-რიდი-ჰანტის სამეულიდან აარჩევს.

ერთი სიტყვით, თბილისში ესენი მოდიან:

*მეკარეები: ჯოზეფ მერფი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), გრემ სტაკი (არსენალი, ინგლისი);*

*მცველები: მარკ როსიტერი (სანდერლენდი, ინგლისი), ჯეიმს გუდვინი (სტოკპორტი, ინგლისი), ჯონ ტომპსონი (ნოტინგემი, ინგლისი), სტივენ პეისლი (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), პოლ ტირნი (ქრიუ, ინგლისი), სტივენ ბრენანი (ნიუკასლი, ინგლისი);*

*ნახევარმცველები: კლიფორდ ბირნი (სკანთორპი, ინგლისი), თომას ბატლერი (სანდერლენდი, ინგლისი), მაიკლ კინი (პრესტონი, ინგლისი), ლიამ მილერი (სელტიკი, შოტლანდია), შონ ტორნტონი (სანდერლენდი, ინგლისი), გრემ ბარლი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), უესლი ჰულაჰანი (შელბურნი), ჯონ მელიგანი (კიდერმინსტერი, ინგლისი);*

*თავდამსხმელები: კევინ ოკონორი (ბრენტფორდი, ინგლისი), ჯონათან დელი (სტოკპორტი, ინგლისი), ნოელ ჰანტი (დანფერმლაინი, შოტლანდია), ენდრიუ რიდი (ნოტინგემი, ინგლისი)*



გურამ ცქიტიშვილის ფოტო

გიორგი დეკანოსიძე



ედიკ საჯაია



გურამ ცქიტიშვილის ფოტო

ირაკლი მოდებაძე

# გენერატ 2
## ლოკომოტივი ნაღდ დენს აღარ ენდობა
## ტუალეტიც 2 EXCLUSIVE უცხოელთათვის

*ორი დღეც და „ლოკომოტივის" სტადიონს სერიოზული გამოცდა ელის. ვაკელები ირლანდიას მასპინძლობენ და დიდ განამანიაში არიან. რუსეთთან ჩაშლილმა მატჩმა გვარიანი საფიქრალი გაუჩინა ფედერაციასა და სტადიონის დირექციას. პრობლემით სახელმწიფო კომისიაც დაინტერესდა, მაგრამ დღემდე ამ „სამთავრობო ჩარევით" არაფერი გადაწყვეტილა. კომისიას სტადიონის მისაღებად სათანადო დასკვნა უნდა მოემზადებინა და ჯერჯერობით ესეც ვერ შეძლო. ჩინოსანთა გაუთავებელი შეხვედრები ბრტყელ-ბრტყელი ფრაზების იქით არ წასულა. საქმისთვის მხოლოდ რკინიგზელებმა და სფფ-ის წარმომადგენლებმა დაიკაპიწეს ხელები და ამათი ძალისხმევითაა, ავად თუ კარგად „ლოკომოტივი" მზად რომ არის ირლანდია-შვეიცარიის სამასპინძლოდ*




„ლოკომოტივის" დირექტორს გივი ჭანტურიძეს საშაბათოდ გენერატორები მწყობრში ეგულება

**სამთავრობო კომისიაზე** საუბარს კი იმით მოვრჩეთ, რომ ამათი ბოლო შეკრება გუშინწინ გაიმართა, მაგრამ მთავარი „დამრტყმელი ძალა" — უშიშროება არ დაესწრო თათბირს და საბოლოო დასკვნაც არ დაწერილა. ჩვენ კი ის ვიკითხოთ, რა მდგომარეობაში ხვდება სტადიონი საერთაშორისო მატჩებს.

ძირითადი პრობლემა, რაღა თქმა უნდა, „ლოკომოტივის" ელექტროენერგიით უზრუნველყოფაა. გაუთავებელი კონსულტაციების შემდეგ გუშინ საბოლოოდ გადაწყდა, რომ საქართველო — ირლანდიის მატჩზე სტადიონს გენერატორებით გაანათებენ. კავკასიონის გადამცემ ხაზზე გაუთავებელმა ავარიებმა საგონებელში ჩააგდო სტადიონის დირექცია და მიუხედავად იმისა, რომ „ლოკომოტივზე" ელექტროენერგიის მეორე წყაროც შეყვანილია, თამაში მაინც გენერატორების შუქზე ჩაივლის. სტადიონის დირექტორ გივი ჭანტურიძის თქმით, გენერატორები წესრიგშია და ამ წყაროს სრული დატვირთვით გამოყენება ხუთ საათსაა შესაძლებელი.

„ჩვენთან თურქი სპეციალისტები არიან ჩამოსულნი, მათ შეამოწმეს გენერატორები, წუნი ვერ უპოვეს, ყველაფერი რიგზეა და არა მგონია, განათების მხრივ პრობლემა შეგვექმნას. გუშინ საცდელი ჩართვა მოვაწყვეთ. გენერატორებმა გამოცდას გაუძლეს, ამიტომ 29 მარტს სულ რომ დაინგრეს ჩვენი ენერგეტიკა, მატჩს მაინც უპრობლემოდ ჩავატარებთ" — გვითხრა ჭანტურიძემ.

— ეს სტადიონი, მგონი, მარტო ქვეყნის პრეზიდენტისთვისაა აშენებული — თქვა სფფ-ის უსაფრთხოების კომიტეტის ხელმძღვანელმა მამუკა კვარაცხელიამ. კვარაცხელიას ბევრი სამართლიანი მოთხოვნა ჰქონდა სტადიონის დირექციისადმი. „ლოკომოტივზე" ფაქტობრივად არ არსებობდა პრესლოჟა და მნიშვნელოვანი მატჩებისას ჟურნალისტთათვის განკუთვნილი ადგილების უმეტესობა პრეზიდენტის დაცვას ჰქონდა ათვისებული.

ამ მხრივ კვარაცხელიას სამსახური საირლანდიოდაც დიდ პრობლემებს წააწყდა. პრეზიდენტის დაცვისთვის პრესლოჟის ორი რიგი მოითხოვეს. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, 92 ადგილია. სფფ-მ, ბუნებრივია, გააპროტესტა და ბოლოს მხოლოდ ერთი რიგი დარჩათ პრეზიდენტის მცველებს. არადა, საოცარი ის არის, რომ წინასწარი ინფორმაციით, ედუარდ შევარდნაძე არც აპირებს საქართველო—ირლანდიის ცოცხლად ყურებას.

„ლოკომოტივზე" აქამდე არ არსებობდა ჟურნალისტთათვის საწერი მაგიდები, არ იყო ფაქსის გასაგზავნი აპარატი, შეუძლებელი გახლდათ ტექნიკური საშუალებით მუშაობა იმ ელემენტარული მიზეზით, რომ დენი არ მიეწოდებოდა ლოჟას. აქამდე მედიელთათვის ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც დიდი პრობლემა იყო, რადგან ტუალეტი სტადიონის შესასვლელთან გახლდათ და იქიდან მობრუნებულს ძნელად თუ შეგიშვებდნენ ლოჟაში ძალოვნები.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემებიდან სფფ-ის და „ლოკომოტივის" დირექციის ძალისხმევით თითქმის ყველაფერი მოგვარდა. ჟურნალისტთა ლოჟა ტრიბუნებისგან იზოლირებული გახდა. დაიდგა საწერი მაგიდები, სადაც ერთბაშად 46 ჟურნალისტს შეეძლება მუშაობა. პრესლოჟას უკვე დენიც მიეწოდება. იქვეა ორი ტუალეტიც. ერთით მხოლოდ უცხოელები ისარგებლებენ. გაიყვანეს სატელეფონო ხაზი. ფაქსის აპარატს მხოლოდ მატჩის დღეს დადგამენ, რადგან გივი ჭანტურიძე შიშობს, მანამდე ვინმემ არ მოიპაროს ძვირადღირებული ტელეფონიო. გაკეთდა ფასიანი ბუფეტი ჟურნალისტთათვის. საწერ მაგიდებზე დაიდგმება სპეციალური ფირნიშები. ფაქტობრივად გადაწყვეტილია შერეული ზონის საკითხიც, მოკლედ, რკინიგზელთა მტკიცებით, მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლები კომფორტულად იგრძნობენ თავს „ლოკომოტივზე".

ცოტა რამ იმაზეც ვთქვათ, თუ როგორ მიდის ბილეთების რეალიზაცია.

როგორც იცით, რკინიგზის დეპარტამენტმა 10-20-30 და 50 ლარიანი ბილეთები დაბეჭდა სარეალიზაციოდ. ამ პროცესს მთლიანად დეპარტამენტის საფინანსო განყოფილება კურირებს. იქ მოლარეები მიდიან, მიაქვთ ბილეთები და შემდეგ რეალიზაციიდან შემოსულ თანხას უთვლიან ლოკომოტიველებს. სალაროები ძირითადად „ლოკომოტივის" და ეროვნული სტადიონის მიმდებარე ტერიტორიებზეა განთავსებული.

გივი ჭანტურიძის თქმით, ვაკეში დღეისთვის სხვადასხვა ფასიანი 500-მდე ბილეთია გაყიდული. ბუნებრივია, ქომაგი ფასს უფრთხის, მაგრამ რკინიგზელები იმედს არ კარგავენ, რომ ზეგ შვიდ საათზე პირთამდე შევსებული სტადიონით შეხვდებიან მატჩის დაწყებას.

ბოლოს კი მოედანზეც ვთქვათ. ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურში „სიონთან" შინ უთამაშებლობა „ლოკომოტივს" სამი ქულის დაკარგვად კი დაუჯდა, მაგრამ მსხვერპლი ამად ღირდა. თოვლჭყაპიანი მარტის გადამკიდე, წინა შაბათს, რომ „ლოკომოტივზე" ეგორებინათ ბურთი, მოედანი ცუდ დღეში იქნებოდა. დღეს გაზონი თოვლითაა დაფარული და თუკი არ დადნა, მას მუშები გაწმენდნენ, მაგრამ გივი ჭანტურიძე ერთობ შეფიქრიანებულია. საქმე ის გახლავთ, რომ დღეს ჩამოსულ ირლანდიელებს, ხვალ 12 საათზე „ლოკომოტივზე" ვარჯიში აქვთ დაგეგმილი, ხვალვე საღამოს იქ საქართველოს ეროვნულმა გუნდმა უნდა ივარჯიშოს, ასეთი ამინდის პირობებში კი ძნელი მოსახერხებელია 29 მარტისთვის მოედნის სათანადოდ გაწყობა.

„საქართველოც და ირლანდიაც კომპრომისზე უნდა წამოვიდნენ, სხვა შემთხვევაში ჩემი 40-კაციანი კოლექტივი კი არა, ათი ამდენიც ვერ უშველის მოედნის საშაბათოდ მომზადებას. გამოსავალი ის არის, რომ სტუმარ-მასპინძელმა 28-ში სხვაგან ივარჯიშონ, მაგრამ თუ ირლანდიელები გაჯიუტდნენ, ვერაფერს შევცვლით. მათ აქვთ უფლება, მატჩის წინა დღეს „ლოკომოტივზე" ივარჯიშონ. არადა, ასეთ შემთხვევაში ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდებით" — გვითხრა გივი ჭანტურიძემ.

**ბაატა ძვანტალიანი**

# ათასლარიანი მზესუმზირა
## ფული დინამოს შეაწერეს და ვიტ ჯორჯიას დაუბრუნეს

**ყბადაღებულ** „მანწკავას საქმეს" მონათლული დავა გუშინ კიდევ ერთხელ გაარჩია სადისციპლინო კომიტეტმა და უწინდელი სხდომისგან განსხვავებით, განაჩენიც სულ მარტივად გამოიტანა. „დინამო" — „ვიტ ჯორჯიას" სათასო მეოთხედფინალის პირველი მატჩის შედეგი ძალაში დარჩა, ხოლო ამ საქმეში უნებლიედ თუ ვიღაცის დაუდევრობით შემცდარ „დინამოს" ათასლარიანი ფულადი ჯარიმა დაეკისრა.

ერთი შეხედვით, „დინამომ" „ვიტ ჯორჯიას" საკაბინეტო ორთაბრძოლაც პირწმინდად მოუგო. მეოთხედფინალის საპასუხო მატჩამდე ერთბურთიანი უპირატესობაც შეინარჩუნა და ათასი ლარიც არ არის ის ჯარიმა, თბილისის ჩემპიონთა სალაროს დიდად დააჩნდეს.

თავის მხრივ დავაში ნაწილობრივ „ვიტ ჯორჯიამაც" გაიმარჯვა. ვეტერინართა პროტესტში დინამოელთა მხრიდან დაშვებულ შეცდომაზე იყო ლაპარაკი, რის საფუძველზეც „ვიტ ჯორჯია" შედეგის გაუქმებასა და სამბურთიანი უპირატესობის დაკანონებას მოითხოვდა.

შეცდომა თავად „დინამომაც" აღიარა, ოლიმპიელი ვიცე-ჩემპიონი ფაქტობრივად გამართლდა და ფეხბურთის ფედერაციაც იძულებულია, ვეტერინარებს საპროტესტო წერილს თან დართული ათასი ლარი უკანვე დაუბრუნოს.

სხვათა შორის, ფულის უკან დაბრუნების პრეცედენტი ფედერაციას აქამდე არც არასდროს დაუშვია. ყოველ შემთხვევაში, მსგავსი ფაქტი გუშინდლამდე არ გახმოვანებულა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ „ვიტ ჯორჯიაში" დებულება ზედმიწევნით იციან.

და მაინც, რომ არა უეფასეული რეკომენდაცია, დარწმუნებული ვარ, „მანწკავას საქმე" სააპელაციო კომიტეტის გასარჩევი გახდებოდა. „ვიტ ჯორჯია" უეფას სადისციპლინო კომიტეტის თავკაცის, პიტერ ლიმახერის ფაქსმა დააშოშმინა და რადგანაც ათას ლარსაც უკან იბრუნებდა, გაჩუმება არჩია. ის კი არა, ვიტელთა გენერალურმა მდივანმა მალხაზ კაკაურიძემ სადისციპლინო კომიტეტს გუშინვე სთხოვა, „დინამოს" ნუ დააჯარიმებთო, მაგრამ უარი მიიღო.




სადისციპლინო კომიტეტის გუშინდელ ვერდიქტს ხმაური არ მოჰყოლია

ლიმახერის შეტყობინებაში, უფრო სწორად, ფედერაციის მიერ მოწოდებულ ქართულ ვარიანტში გარკვევით ეწერა, რომ აღნიშნული დარღვევა მხოლოდ ფულად ჯარიმას ითვალისწინებს. უეფას მთავარი დისციპლინარი იქვე დასძენდა, დარღვევის ხარისხი, გათამაშების სირთულე და ჯარიმის ოდენობა ქართველმა კოლეგებმა განსაზღვრონო.

ჰოდა, ამის შემდეგ გასარკვევიც რაღა იყო, თუმც სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარეს, ომარ გოგიაშვილს არც ის დაუმალავს, რომ ამ საქმის პირველადი განხილვისას ჩვენებური დისციპლინარები დებულების ლაბირინთებში გაიხლართნენ და ერთიანი, პრინციპული პოზიციაც ამიტომ ვერ დააფიქსირეს.

ჯერი ფულად ჯარიმაზე მიდგა. „ვაჭრობა" ათასი ლარიდან დაიწყო და ხუთი ათასსაც მიუკაკუნა. მერე თითქოს ორი ათასზე შეთანხმდნენ, მაგრამ სწორედ მაშინ თქვა კაკაურიძემ, „ვიტ ჯორჯიას" ფინანსურად არ უზარალიაო და „დინამოსაც" ჯარიმა წამსვე გაუნახევრეს. ათგზის ჩემპიონისთვის კი აღნიშნული თანხა რომ მზესუმზირის ფულია, ამაშიც ბევრი დაგვეთანხმება.

ბოლოს „ვიტ ჯორჯიამ" ლიმახერის ფაქსის ინგლისური ვარიანტის ასლი ითხოვა. რა პრობლემაა, ფედერაციაში მოგართმევენო, გამოუცხადეს კაკაურიძეს და „მანწკავას საქმეც", ალბათ, საბოლოოდ დაიხურა.

მეორე საკითხად „ტორპედოს" წერილი ირჩეოდა. რიონისპირელები „ტორპედო" — „დინამოს" იმ მატჩს იხსენებდნენ, ქუთაისურ სარბიელს ერთმატჩიან დისკვალიფიკაციად რომ დაუჯდა, რასაც მომდევნო ტურში წყალტუბოში, ნეიტრალურზე თამაში და „კოლხეთთან" დაკარგული ორი ქულა მოჰყვა.

„ჩვენ სრულად ვეთანხმებით თქვენს გადაწყვეტილებას, მაგრამ მტყუან-მართალი საბოლოოდ რომ გავარკვიოთ, მატჩის ვიდეოფირს გიგზავნით, სადაც გარკვევით ჩანს, რომ ჩვენს სტადიონზე მომხდარი მატჩისშემდგომი ინციდენტი თბილისელი ფეხბურთელების (ანჩაბაძე, კარლოსი) და მათი ქომაგების პროვოცირებულია" — „ტორპედო" — „დინამოს" 14 მარტის დაპირისპირების ვიდეოჩანაწერი ომარ გოგიაშვილის სამუშაო მაგიდის უჯრაში იდო.

ჯერ გოგიაშვილმა წერილის უპასუხოდ დატოვება გადაწყვიტა, წასული საქმეა, თანაც მსაჯ-ინსპექტორი არაფერს იტყობინებაო, მაგრამ თავმჯდომარეს კოლეგებმა უგანეს. ევროპაში ხშირია შემთხვევები, როცა მოედანზე მსაჯს რაღაც დარღვევა გამოეპარება და მოგვიანებით დისციპლინარები ამბობენ გადამწყვეტ სიტყვასო.

ეს იყო და სამკაციანი კომისიაც იმწამსვე შეიქმნა. გურამ ძაგანიას დაევალა იმ ჩანაწერის განხილვა და მომდევნო სხდომისთვის საბოლოო ვერდიქტის გამოტანა. ასე რომ, „ტორპედო" — „დინამო" ისევ გაგრძელდა.

საკმაო ხანი არჩიეს რუსთაველი ზურაბ ლაბაძის დანაშაული. გორში „გორდას" ფეხბურთელი გახურებული თამაშისას ადგილობრივ ქომაგებს წაეკიდა, მერე ტრიბუნაზეც აიჭრა, დაარტყა, დაარტყეს და გადასარჩენი შეიქნა.

იქაური „ჯუნგლები" ზოგჯერ რკინის ნერვების ადამიანს აგიჟებენ, მაგრამ ფეხბურთელის ასეთი ქცევა მიუღებელიაო, დაასკვნეს დისციპლინარებმა და მკაცრ განაჩენს რომ ველოდით, მხოლოდ ოთხთამაშიანი დისკვალიფიკაცია აკმარეს ლაბაძეს, რასაც 200 ლარი ჯარიმა დაერთო.

სხვა საკითხები სულ რამდენიმე წუთში მოილია. ფოთელ კახა გოროზიას „ტორპედოსთან" გაძევება 50 ლარით და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით შეუფასეს. მსგავსი სასჯელი აკმარეს ბოლნისელ სანდრო ბურნაძეს, ვინც „ლოკომოტივთან" საშინაო თამაშში მსაჯმა მალაღურაძემ მოედნიდან ბოლო იმედის ჯარიმისთვის დაითხოვა.

დისციპლინართა ბადეში მოჰყვნენ ოზურგეთელი ილურიძე, წყალტუბოელი კრავეიშვილი, ბათუმელი ნემსაძე და ქუთაისელი ონიანი. მათ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციები მიიღეს და ასი ლარითაც დაჯარიმდნენ. კიდევ ერთმა ოზურგეთელმა, კობაურმა, განზრახ ხელით თამაშისთვის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაიმსახურა, რასაც 50-ლარიან ჯარიმა შეეფარდება.

**მამუკა ძვანტალიანი**








ჯონ ტერის დაწყებული საქმე ლორენმა დაასრულა, ტიერი ანრიმ კი მაჯთან იჩივლა

# მკვლელი ლორენი

## ინგლისი

### ასოციაციის თასი
### 1/4 ფინალი. გადათამაშება

**ჩელსი 1:3 არსენალი**

0:1 ტერი (2ნს.კ.), 0:2 ვილტორდი (34), 1:2 ტერი (79), 1:3 ლორენი (82)

ჩელსი: კუდიჩინი, მელხიორტი, ტერი, გალასი, ლე სო, სტანიჩი (გრონკიაერი 34), ლამპარდი, ე. პეტი (გუდიონსენი 58), ჯ. მორისი (ზენდენი 46), ძოლა, ჰასელბაინკი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

არსენალი: ს. ტეილორი, ლორენი, ს. კემპბელი, სიგანი, კ. ტურე, პირესი (ლიუნგბერგი 74), ვიეირა, პარლოუ, ედუ, ვილტორდი (ანრი 74), ჯეფერსი (ვან ბრონკჰორსტი 67)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: სტანიჩი, სიგანი, ლორენი, სიგანი

გაძევება: სიგანი (66)

მსაჯი: ელერეი

41 456 მაყურებელი

„არსენალმა“, უზადო დისციპლინისა და თამაშის წყალობით, ასევე ჯონ ტერის ავტოგოლის დახმარებით, „ჩელსის“ მისსავე მოედანზე 3:1 მოუგო და ასოციაციის თასის ნახევარფინალში გავიდა. შეგახსენებთ, რომ სამი კვირის წინ მათი სამეოთხედფინალო მატჩი, ოღონდ „ჰაიბერიზე“, ფრედ, 2:2 დასრულდა და გადათამაშება ამიტომაც შეიქნა საჭირო.

უნდა ითქვას, რომ ბურთს მეტწილად მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ „მეთოფეთა“ სისწრაფემ და ნახევარდაცვაში მოპოვებულმა უპირატესობამ თავისი გაიტანეს — პირველი ტაიმის ათწუთიან მონაკვეთში „არსენალი“ ორი ბურთით დაწინაურდა. სილვენ ვილტორდმა „ჩელსის“ საჯარიმოში ბურთი ჩაჰკიდა, სადაც პატრიკ ვიეირასა და ჯონ ტერის დუელი ერთი შეხედვით ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით — „ჩელსის“ კაპიტანმა ბურთი კი მოიხელთა, მაგრამ საკუთარ კარში გაგზავნა. სხვათა შორის, 48 საათით ადრე ტერიმ შეტყობინება მიიღო: სვენ გორან ერიკსონი მას ნაკრებში იწვევდა.

პატრიკ ვიეირამ, რომლის თამაშიც მტკივანი მუხლის გამო საეჭვო იყო, მეორე გოლშიც დაიდო წილი. ვილტორდმა სწორედ მისი პასით გაიტანა.

„თავიდან ათიოდ წუთი გაგვიჭირდა — ასე შეაფასა მატჩი „არსენალის“ მენეჯერმა არსენ ვენგერმა — მერე თამაში გამოვასწორეთ და პირველი ტაიმი ბრწყინვალედ ჩავამთავრეთ. მეორე ტაიმითაც კმაყოფილი ვარ, მტკიცე ნებისყოფა გამოვიჩინეთ.“

ნებისყოფაში ვენგერი იმას გულისხმობს, რომ ბოლო 24 წუთი მისმა გუნდმა ათი კაცით ჩაატარა და გაძლო — პასკალ სიგანი მეორე გაფრთხილების შემდეგ გააძევეს.

მომენტები „ჩელსისაც“ ჰქონდა, უპირველესად, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკს, მაგრამ დაშავებული დევიდ სიმენის ნაცვლად მოთამაშე სტიუარტ ტეილორი საიმედოდ დარაჯობდა „მეთოფეთა“ კარს. მასპინძელთა გაცუდებულმა მომენტებმა კი ბებერ იტალიელ ჯანფრანკო ძოლას ათქმევინა, გამარჯვების შანსი როგორ არ გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთო.

სიგანის გაძევების მერე მასპინძლებმა მაინც მოახერხეს ერთი ბურთის გაქვითვა. უიღბლო ჯონ ტერიმ შეცდომის გამოსწორება სცადა და ჰასელბაინკის უზუსტესი პასი გოლად აქცია. ამ დროისთვის „ჩელსის“ მენეჯერი კლაუდიო რაინერის უკვე გაეძლიერებინა თავდასხმის ხაზი — ნახევარმცველების, ჯოდი მორისისა და ემანუელ პეტის ნაცვლად ბუდევინ ზენდენი და ეიდურ გუდიონსენი შეუშვა — და სხვაობის ერთ ბურთამდე შემცირებამ თამაშის გადარჩენის იმედიც ჩაუსახა. მაგრამ იმედი სამ წუთში მოკვდა. მკვლელობა ლორენმა ჩაიდინა.

დარჩენილ წუთებში მასპინძლები „არსენალის“ საჯარიმოს შორი-ახლოს კი ტრიალებდნენ, მაგრამ არაფერი შეცვლილა, „მეთოფეებმა“ კი ეგებ უფრო იოლად მოიგონ ნახევარფინალში, სადაც მათი მეტოქე პირველდივიზიონელი „შეფილდ იუნაიტედია“. თუ „არსენალმა“ ეს ბარიერიც გადალახა, ძალიან ახლოს იქნება შარშანდელ შედეგთან, როცა არსენ ვენგერის გუნდმა დუბლი გააკეთა — ჩემპიონობაც მოიპოვა და თასიც.

ხოლო „ჩელსის“, რომელიც სათასო მატჩში „არსენალის“ დამარცხებას 1947 წლიდან ვერ ახერხებს, ერთი უსიამოვნებაც შეემთხვა. როცა ლორენმა მესამე გოლი გაიტანა და ხვევნა-კოცნა ატყდა, მასპინძელთა მავანმა გაცოფებულმა ფანმა ტიერი ანრის მონეტა ესროლა და გაარტყა. „არსენალის“ ფრანგმა ფორვარდმა მსროლელს ნამუსი არ შეუნახა და ხურდა ფული მსაჯს ჩააბარა, მსაჯი კი უეჭველად სადაც ჯერ არს, იქ წარადგენს.

**ირაკლი ნინიძე**

### ნახევარფინალის წილისყრა

**არსენალი — შეფილდ იუნაიტედი**
(მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“)

**უოტფორდი — საუთჰემპტონი**
(ბირმინგემის „ვილა პარკზე“)

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**ბრაიტონი 0:0 კრისტალ პალასი**

**ბარნლი 0:2 ბრედფორდი**

0:1 იორგენსენი (18), 0:2 გრეი (89)

**ნორვიჩი 1:0 უიმბლდონი**

1:0 ბელი (40)

**შეფილდ იუნ. 2:2 ჯილინგემი**

1:0 კაბა (44), 1:1 ოსბორნი (53), 1:2 შოუ (69), 2:2 პეშისოლიდო (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 39 | 24 | 11 | 4 | 82:37 | 83 |
| ლესტერი | 39 | 23 | 11 | 5 | 64:35 | 80 |
| შეფილდი | 38 | 20 | 9 | 9 | 61:41 | 69 |
| რედინგი | 39 | 21 | 4 | 14 | 49:38 | 67 |
| ნოტინგემი | 38 | 18 | 11 | 9 | 69:37 | 65 |
| ვულვზი | 39 | 17 | 12 | 10 | 68:38 | 63 |
| იფსვიჩი | 39 | 15 | 13 | 11 | 61:49 | 58 |
| ნორვიჩი | 39 | 16 | 10 | 13 | 51:41 | 58 |
| ჯილინგემი | 39 | 14 | 12 | 13 | 52:58 | 54 |
| უიმბლდონი | 39 | 14 | 11 | 14 | 63:63 | 53 |
| როტერჰემი | 39 | 14 | 10 | 15 | 55:53 | 52 |
| კრ. პალასი | 39 | 12 | 15 | 12 | 49:43 | 51 |
| პრესტონი | 38 | 13 | 12 | 13 | 60:57 | 51 |
| მილუოლი | 39 | 14 | 8 | 17 | 45:59 | 50 |
| ბრედფორდი | 39 | 13 | 10 | 16 | 47:58 | 49 |
| ბარნლი | 38 | 13 | 10 | 15 | 54:68 | 49 |
| ქოვენთრი | 39 | 12 | 11 | 16 | 42:52 | 47 |
| უოტფორდი | 39 | 13 | 8 | 18 | 40:57 | 47 |
| უოლსოლი | 38 | 12 | 7 | 19 | 49:61 | 43 |
| დერბი | 39 | 12 | 7 | 20 | 46:62 | 43 |
| ბრაიტონი | 40 | 9 | 10 | 21 | 40:59 | 37 |
| სტოკი | 39 | 8 | 13 | 18 | 38:64 | 37 |
| გრიმსბი | 39 | 9 | 10 | 20 | 44:73 | 37 |
| უენსდი | 39 | 6 | 13 | 20 | 38:64 | 31 |

# რეალმა ბექჰემს დაუმიზნა
## ვალდანო ზაფხულში დიდ ხმაურს გვპირდება







ხორხე ვალდანოს სურვილი ალექს ფერგიუსონს უთუოდ ჩააფიქრებს, თავად დევიდ ბექჰემს კი რა უჭირს...

**მადრიდის „რეალმა“** განაცხადა, რომ მისი უმთავრესი სატრანსფერო სამიზნე ინგლისელი დევიდ ბექჰემია. საინტერესოა ისიც, რომ თავად „მანჩესტერ იუნაიტედის“ ვარსკვლავმა ასე განაცხადა:

„მადრიდის „რეალში“ თამაში ნებისმიერი ფეხბურთელისთვის დიდი პატივია. ამ კლუბს დიდი ვარსკვლავები ჰყავს და დიადი ტრადიციით გამოირჩევა“.

ბექჰემის შეძენის თაობაზე დაუფარავად ისაუბრა ესპანელთა დირექტორმა ხორხე ვალდანომ. მან თქვა, რომ ამ ზაფხულს „სამეფო კლუბი“ 27 წლის ინგლისელის 40 მილიონ გირვანქად შეძენას შეეცდება. შეგახსენებთ, რომ „რეალის“ სატრანსფერო საქმეთა მთავარი მომუვარებელი სწორედ ვალდანო გახლავთ. 80-იანი წლების ვარსკვლავს ამ საქმეში ფრიადი ნიჭი აღმოაჩნდა და რონალდოს, ზინედინ ზიდანისა და ლუიშ ფიგუს გადაბირება მის სახელთან არის დაკავშირებული.

ვალდანო: „რეალმა“ ბოლო წლებში ყველაზე მსხვილი სატრანსფერო გარიგებები დადო ამ თვალსაზრისით. ბექჰემის შეძენა მორიგი დიდი პროექტის განხორციელება იქნება“.

ბუნებრივია, ბექჰემის გადაბირების სურვილი კლუბებს შორის სიტყვიერ ომს გამოიწვევს. შეგახსენებთ, რომ „რეალი“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში უნდა დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ვალდანო: „მეოთხედფინალის წინ ბექჰემზე მეტი საუბარი გაუმართლებელი მეჩვენება. სულაც არ მსურს ვინმემ თამაშების წინ ვითარების განზრახ დაძაბვაში დამდოს ბრალი. ამ ეტაპზე უპრიანი მხოლოდ ფეხბურთზე საუბარი გახლავთ“.

მიმომხილველები ეჭვობენ, რომ თუ მადრიდელთა და მანჩესტერელთა დავაში ინგლისელები იმარჯვებენ და ამის შემდეგ თასსაც მოიპოვებენ — მით უფრო, რომ ფინალი „ოლდ ტრეფორდზეა“ დანიშნული — ბექჰემს იქაურების ტრიუმფატორის რანგში დატოვება შეიძლება მართლა დაუჯდეს ჭკუაში. თან, კარიერას სადმე კი არა, თვით „რეალში“ გააგრძელებს. აღსანიშნავია, რომ ბექჰემმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ახალ კონტრაქტს შარშან მაისში მოაწერა ხელი. კონტრაქტი 2005 წლამდეა ძალაში და ფეხბურთელისთვის კვირაში 50 ათასი გირვანქის გადახდას ითვალისწინებს, თუმცა ესპანეთის დედაქალაქში ეს გასამრჯელო შესაძლოა 70 ათასამდე გაიზარდოს, რასაც, სავარაუდოდ, „იმიჯის უფლების“ ამბავი ანუ სარეკლამო საქმიანობა დაემატება.

ერთი სიტყვით, ბექჰემის საქმე ასე თუ ისე, უეჭველად კარგად იქნება, რასაც ჯერჯერობით ვერ ვიტყვით ერაყის წინააღმდეგ მეომარ მის თანამემამულეებზე. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთელმა „ჰითროუს“ აეროპორტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„დღეს ჩვენი ფიქრი და სიყვარული იმ ოჯახებს დასტრიალებს, რომელთაც უკვე დაკარგეს ძვირფასი ადამიანები. როდესაც ომი მძვინვარებს, ფეხბურთზე იმავე რანგში ლაპარაკის უფლება არ გვაქვს. მე ეს ცხადად მესმის. ეს ესმით სხვა მოთამაშეებსაც. ამიტომ, თავს ბედნიერად ჩავთვლით თუ ჩვენი თამაშით ხალხს ხუთი წუთით მაინც მივანიჭებთ ბედნიერებას“.

**პაპუნა ძედია**



-ერაყში მებრძოლმა მისმა თანამემამულეებმა იკითხონ





რადომირ ანტიჩი სერა ფერეროობას აპირებს, რომან რიკელმემ და პატრიკ კლუივერტმა კი ერთმანეთს გაუგეს და ადიდეს

# ანტიჩის ორთვიური

## საყურადღებო ამბები ყურშა ბიჭებზე

ერთ კვირაში, 2 აპრილს ორი თვე სრულდება, რაც „ბარსელონას" სათავეში სერბი რადომირ ანტიჩი ჩაუდგა და მას მერე გუნდმა წაგების სიმწარე დაივიწყა. ამ ორ თვეში „ბარსამ" 11-მატჩიანი წაუგებელი სერია გაახერხა (6 მოგება, 5 ფრე) და შვიდი მატჩიღა აშორებს ბოლო წლების რეკორდთან. 2000-01 წლების სეზონში ლორენს სერა ფერერის „ბარსელონამ" ზედიზედ 18 შეხვედრა არ წააგო. მაშინ, 2000 წლის 23 ნოემბრიდან (უეფას თასზე „ბრიუგესთან" 2:0) 2001 წლის 7 თებერვალამდე („ესპანიოლთან" 1:1), „ბარსელონამ" 12 თამაში მოიგო და ექვსი ფრედ დაასრულა. თუმცაღა, ისიც ვთქვათ, რომ სერა ფერერის სამწვრთნელო რეპუტაცია ამ სერიამ ვერ აამაღლა.

ახლა, ვინძლო სხვა საქმეა. ნახსენებ 11 შეხვედრაში გუნდმა ექვსი ბურთი გაუშვა და 24 გაიტანა, მათგან ექვსი, სანტანდერის „რასინგთან" პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში.

„რასინგთან" შეხვედრაში მოხდა ის, რასაც კატალონიელები დიდხანს ელოდნენ — ხუან რომან რიკელმეს თამაში წაუვიდა. „სიმართლე გითხრათ, ჩემი თამაში ჩემპიონთა ლიგაში, „ნიუკასლთან" უფრო მომეწონა, ვიდრე „რასინგთან", მაგრამ ამ ბოლო მატჩითაც კმაყოფილი ვარ" — თქვა არგენტინელმა.

მოგეხსენებათ, რიკელმე ნახევარ სეზონზე მეტია, ბარსელონელია და მასზე ძვირად თუ ვინმეს დასცდენია ტკბილი სიტყვა. მას მუდამ უწუნებდნენ თამაშს, „ბოკა ხუნიორსში" უკეთ ირჯებოდაო და დისციპლინის საქმეც ვერ ჰქონდა კარგად, სისტემატურად აგვიანებდა ვარჯიშებზე და ანტიჩმა ერთხელ მალვიძარას ყიდვაც ურჩია.

„ბარსელონაში" გადმოსვლის მერე ხშირად მიცვლიან პოზიციას, მეტწილად მარცხენა ფლანგზე მათამაშებენ, მე კი შუაში თამაშს ვარ მიჩვეული — განმარტა რიკელმემ — აი, „ნიუკასლთან" და „რასინგთან" ცენტრში, თავდამსხმელების უკან ვითამაშე და გამომივიდა. თან ჩემს წინ სავიოლა და კლუივერტი არიან — ორი დიდი ფეხბურთელი, რომლებიც საქმეს მიიოლებენ".

რიკელმეს ამ სიტყვების მერე რივალდო ხომ არ გაგახსენდათ? აკი, თავის დროზე ბრაზილიელსაც ამის გამო ჰქონდა კონფლიქტი „ბარსელონას" მაშინდელ მწვრთნელთან. ეგებ ამის გამოც, რიკელმემ თავი დაიზღვია და დასძინა, სულაც არ ვწუწუნებო: „უბრალოდ ცენტრში მეტი სივრცე და, შესაბამისად, კომბინაციის გაგრძელების მეტი ვარიანტები მაქვს. ისე კი სადაც მწვრთნელი საჭიროდ ჩათვლის, [illegible] შევეცდები გუნდისთვის მაქსიმალური სარგებლობის მოტანას, [illegible] ხელთათმანები გამიკეთონ და კარში ჩამაყენონ".

რიკელმეს ბოლოდროინდელმა კარგმა თამაშმა „ბარსას" ქომაგები ორმაგად გაახარა. ერთხანს აჭრილი პატრიკ კლუივერტიც ძველებურად ათამაშდა და ბევრი ფიქრობს, რომ ჰოლანდიელის გამოსწორებაში რიკელმეს ხელიც ურევია, ანუ გატანას არგენტინელის ზუსტი პასების წყალობით უმატა.

კლუივერტი ამბობს: „რასინგთან" ჩემი პირველი გოლი მთლიანად რომანის დამსახურებაა. მან ბურთთან ერთი შეხებით დამტოვა მეკარესთან პირისპირ და მე მხოლოდ ფეხის წაკვრაღა დამრჩენოდა. გენიალური პასი იყო. საერთოდაც, მას ბრწყინვალედ ვუგებ. რომანის გვერდით თამაში დიდი სიამოვნებაა".

ერთი სიტყვით, კლუივერტმა და რიკელმემ მომავალშიც ასე თუ ააწყვეს თამაში, ეგებ „ბარსელონამ" თავში ნახსენები სერა ფერერის დროინდელი რეკორდიც დაამხოს.

ბოლოს კი ერთ სახალისო ამბავს მოგახსენებთ. „რასინგთან" გატანილი იმ გოლის მერე, კლუივერტმა რიკელმეს საპატივცემულოდ, ხელები ყურებზე მიიდო, თითქოს ყურებს აპარტყუნებსო.

ალბათ შენიშნული გაქვთ — ეს გოლის გატანის აღნიშვნის რიკელმესეული ხერხია. მისი ისტორია კი ამგვარი გახლავთ: 1958 წელს ვინმე მარია პერეგომ წრუწუნა ტოპო ჯიჯო გამოიგონა, რომელიც 60-70-იან წლებში არგენტინელი ბავშვების საყვარელი გმირი იყო. ბავშვებს გამორჩეულად მისი ყურების პარტყუნი მოსწონდათ. იმ არგენტინელ ბავშვებს შორის რიკელმეც იყო.

**გიორგი დარჯანია**

# დამირეკე ტელეფონო



ჯანლუკა ვიალი

ჯანლუკა ვიალი ამბობს, რომ ტელეფონთან მიმჯდარი მოუთმენლად ელის ზარს, რომელიც მისი მომავალი სამუშაოს ამბავს გაარკვევს. იტალიური ფეხბურთის დიდ ვარსკვლავს გასული ზაფხულის შემდეგ არ უმუშავია, ანუ მას მერე, რაც „უოტფორდის" მწვრთნელის თანამდებობიდან მოხსნეს.

„მნიშვნელოვან ზარს ველოდები — თქვა კაცმა, რომელიც თავის დროზე ლონდონის „ჩელსისაც" ედგა სათავეში — მსურს სერიოზული პროექტის მონაწილე გავხდე, თუმცა თანხმობას მხოლოდ იმ შემთხვევაში განვაცხადებ თუ კლუბს, რომელიც მიმიწვევს, კონკრეტული მიზანი და ამბიცია ექნება".

აღსანიშნავია, რომ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ვიალის სახელს რატომღაც „იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების მომავალს უკავშირებდნენ.

„ვინ არ იოცნებებს ასეთ ადგილზე. ვფიქრობ, ამ დონეზე მუშაობისთვის მზადაც ვარ, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს, მარჩელო ლიპის „იუვენტუსსა" და ჯოვანი ტრაპატონის „სკუადრა აძურაში" კარგად მიჰყავთ საქმე" — განაცხადა ვიალიმ, რომელმაც კარიერა „კრემონეზეში" დაიწყო და ამიტომაც, ამ დღეებში, ამ კლუბის ასწლოვან იუბილეში მონაწილეობდა.

კრემონეში ვიალიმ 1980 წელს დაიწყო თამაში, შემდეგ 1984-ში „სამპდორიაში" გადავიდა, ხოლო 1992-ში — „იუვენტუსში". 1996 წლიდან კარიერის დასრულებამდე ვიალი ლონდონის „ჩელსიში" გამოდიოდა.

**ბაჩუნა ძედია**



პაოლო ფაბიანო პალიუზო

# მაფიოზი და აფერისტი ყოფილა

„კოზენცა" იტალიის სერია B-ს კლუბია და სერია C-ში გავარდნისგან თავის დასაღწევად იბრძვის.

პაოლო ფაბიანო პალიუზო „კოზენცას" პრეზიდენტია და ამიერიდან კალაბრიის საპყრობილედან თავის დასაღწევად იბრძვის.

საქმე კი ის გახლავთ, რომ სინიორ პალიუზო და სხვა 13 ადამიანი კარაბინიერებმა დააპატიმრეს. მიზეზი: ეს ხალხი მაფიოზურ მოღვაწეობაში, აფერისტობასა და კრიმინალურ კონსპირაციაში იმხილება.

პაოლო ფაბიანო პალიუზოს „კოზენცაში" არსებული წილი გაუყინეს.

**ბაჩუნა ძედია**

# შალკე მეექვსეა

## ასაუერმა ნოიბარტს მოქაჩა და ვილმოტსი გაქაჩა

სამსეზონოდ ბუნდესლიგაში უკვე მეექვსე მწვრთნელი მოხსნეს — „შალკეს" ფრანკ ნოიბარტი აღარ გაწვრთნის, „ხუმარებს" გუნდის ბელგიელი შუახაზელი მარკ ვილმოტსი უხელმძღვანელებს სეზონის ბოლომდე.

34 წლის ვილმოტსს, როგორც კლუბის მოთამაშეს, ივნისში უმთავრდება კონტრაქტი და ფეხბურთელის კარიერასაც თავს ანებებს, მანამდე თუ რამ წარმატებას მიაღწია სამწვრთნელო საქმეში, ალბათ სამომავლოდაც დარჩება „შალკეს" მესაჭედ.

მდიდარი და ამბიციური „შალკე" ბუნდესლიგაში ახლა მე-6 ადგილზეა და ლიდერ „ბაიერნს" მთელი 16 ქულით ჩამორჩება — ნოიბარტის გუნდიდან დაფრენის საბაბიც ეგაა.

„გადაწყვეტილება მოულოდნელია. ამის შესახებ გასახდელში შევიტყვე. ძალიან გაწბილებული და დამწუხრებული ვარ. ჩვენ ძალიან ცოტა ქულა დავაგროვეთ, ეს კი ბიზნესია და იძულებული ვარ, მის ზნეს შევეგუო. კლუბის კომერციულ დირექტორ რუდი ასაუერზე გაბრაზებული არ ვარ. ვწუხვარ, რომ მან გათვლა ჩემზე გააკეთა და ამან არ გაამართლა" — უთქვამს სასოწარკვეთილ და დაბნეულ ნოიბარტს.

„შალკე" კი განმარტავს, ნოიბარტის დათხოვნა ჩვენი და მწვრთნელის ორმხრივი შეთანხმებით მოხდაო — სიგარების და ქალების მოყვარულ ასაუერს განა რამე შეეძლებოდა?!

**დავით თაგართქილაძე**





ფრანკ ნოიბარტს რუდი ასაუერმა მარკ ვილმოტსი ამჯობინა

# Copa Toyota Libertadores '2003

## ლიბერტადორესის თასი 2003

### III ჯგუფი
### V ტური

**12 დე ოქტუბრე (პარაგვაი) 1:4 სანტოსი (ბრაზილია)**

0:1 რობინიო (3), 0:2 დიეგო (38), 0:3 ნენე (78), 1:3 მონზონი (84), 1:4 რიკარდო ოლივეირა (88)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოსი | 5 | 4 | 1 | 0 | 15:3 | 13 |
| ელ ნასიონალი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| ამერიკა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:10 | 4 |
| 12 დე ოქტუბრე | 5 | 1 | 0 | 4 | 6:13 | 3 |

### IV ჯგუფი
### V ტური

**კობრელოა (ჩილე) 2:3 ოლიმპია (პარაგვაი)**

1:0 ხ. დიასი (10), 2:0 მარტელი (15პ), 2:1 გალანონე (20), 2:2 ე. ლოპესი (37), 2:3 ბაესი (70)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხიმნასია | 4 | 1 | 3 | 0 | 6:2 | 6 |
| კობრელოა | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ოლიმპია | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 6 |
| ალიანსა | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |

### VI ჯგუფი
### IV ტური

**რასინგი (არგენტინა) 1:1 უნივერსიტარიო (პერუ)**

1:0 მიროსევიჩი (29), 1:1 არტიგასი (31)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რასინგი | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| ნასიონალი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| უნივერსიტარიო | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| ორიენტე პეტროლერო | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |



გერჰარდ აიგნერისა და ლენარტ იუჰანსონის გზები მალე გაიყრება

# აიგნერის ჯანი ოჯახისთვის გაცარდა

## ახალ წელს უეფას ახალი გენმდივანი ეყოლება

უეფას გენერალური მდივანი გერჰარდ აიგნერი საქმიანი ცხოვრებით გაითანგა — გუშინ მან რომში უეფას აღმასკომისზე გამოამზეურა გადაწყვეტილება — უეფასთან კონტრაქტი 31 დეკემბერს მიმთავრდება და მას აღარ გავაგრძელებო.

59 წლის აიგნერი საერთოდ აღარ აპირებს მუშაობას, მას პენსიონერება სურს და მოდი და, გაამტყუნე — 60 წელს მიღწეულ კაცს მასზე ბევრად ახალგაზრდა მეუღლე ჰყავს და მთელი ჯანიც მისთვის უნდა — თვით უეფას ოფიციალური ვებ-გვერდი იუწყება, აიგნერს თავის ახალგაზრდა ოჯახთან სიამტკბილობა ყველაფერს ურჩევნიაო.

გერჰარდ აიგნერი გერმანელი, ბავარიელი კაცი გახლავთ, ვისაც ფეხბურთი ოდენ სამოყვარულო დონეზე უთამაშია, მსაჯობაშიც გაწაფულა და უეფაში 1969 წელს ამოუყვია თავი, ხოლო გენმდივნობისთვის 1989 წლიდან გამოუკრავს ხელი.

„ქორფა ოჯახი მყავს და ვაპირებ, რომ ოჯახს უფრო მეტი დრო დავუთმო. ვნანობ, რომ წარსულში ეს შესაძლებელი არ იყო" — დასძენს აიგნერი.

„აიგნერი მეგობარი და ერთგული კოლეგაა. ის ევროპული ფეხბურთის დიდი მეჭირნახულეა" — ეს კი უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონის სიტყვაა.

**დავით თავართქილაძე**



გელზენკირხენის „აუფშალკე" ევროფინალს პირველად უმასპინძლებს

# უეფამ ლიგა და უეფა დაასაბინავა

გადაწყდა: 2004 წელს ჩემპიონთა ლიგის ფინალი გელზენკირხენის „აუფშალკეზე" გაიმართება, ხოლო უეფას თასის ფინალს გეტებორგის „ულევი" უმასპინძლებს.

დღეს რომში უეფას კონგრესი გაიმართება, რომელსაც ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის ორდღიანი სხდომა უძღოდა და ეს გადაწყვეტილებაც იქ მიიღეს.

გელზენკირხენის სტადიონი 54 100 მაყურებელს იტევს და 2001 წლის აგვისტოში გაიხსნა. ის ზეთანამედროვე არენაა — მოძრავი სახურავით და მოედნით. ლიგის ფინალის სამასპინძლოდ გელზენკირხენელებს ორი გერმანულივე ქალაქი — ბერლინი და ჰამბურგი, ასევე მოსკოვი, მადრიდი და ამსტერდამი ეცილებოდნენ.

„აუფშალკე" პირველად უმასპინძლებს ევროფინალს, გერმანიაში კი ბოლო ფინალი, გეხსომებათ, 2001 წელს ჩატარდა, როცა დორტმუნდის „ვესტფალენშტადიონზე", უეფას თასის დაუვიწყარ გადამწყვეტ შეხვედრაში, „ლივერპულმა" 5:4 მოუგო „ალავესს". ჩემპიონთა ლიგის ფინალს კი გერმანიამ ბოლოს 1997 წელს უმასპინძლა. მაშინ მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე" „დორტმუნდმა" „იუვენტუსი" დაამარცხა.

გეტებორგის „ულევის", „აუფშალკესგან" განსხვავებით, დიდ მატჩთა მასპინძლობის დიდივე გამოცდილება აქვს. აქ ორჯერ, 1983 და 90 წლებში თასების მფლობელთა თასის ფინალები ჩატარდა. პირველ ფინალში „აბერდინმა" 2:1 მოუგო „რეალს", ხოლო მეორეში „სამპდორიამ" 2:0 დასცა „ანდერლეხტი". 1992 წელს ამ სტადიონზე ევროპის ჩემპიონატის ფინალში დანიამ გერმანია დაამარცხა, აქ გამართული ბოლო დიდი შეჯიბრება კი 1995 წლის მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი იყო.

ბოლოს დავძინოთ, რომ გაისად ჩემპიონთა ლიგის ფინალი 26 მაისს უწევს, უეფას თასისა კი ტრადიციულად, ერთი კვირით ადრე. 2005 წლის ფინალების მასპინძელ ქალაქებს უეფა წლეულსვე, დეკემბერში დაასახელებს. იმასაც შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი ფინალი მანჩესტერში, ხოლო უეფას თასისა სევილიაში გაიმართება.

**გიორგი დარჯანია**

**ჩემპიონთა თასის (ლიგის) ფინალისთვის უმასპინძლიათ**

ლონდონი 5
ბრიუსელი, ვენა, პარიზი 4
მადრიდი, რომი, მიუნხენი, მილანი, გლაზგო 3
როტერდამი, შტუტგარტი, ათენი, ამსტერდამი 2
ბერნი, ლისაბონი, ბელგრადი, სევილია, ბარი 1

## ფეხბურთის რუკასთან



**მექსიკაში** მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი გაიმართება. მოგეხსენებათ, ჭაბუკთა ეს ტურნირი არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ერაყში დაწყებული საომარი მოქმედებების გამო, ფიფამ აზიის კონტინენტზე ჩემპიონატის ჩატარება უსაფრთხოების დაცვის მიზნით იუარა, თუმცა დასძინა, საამიროებს მასპინძლობის უფლება არ ჩამოერთმევათო, ახლა კი ირკვევა: მსოფლიოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი წლეულს აუცილებლად ჩატარდება, ოღონდ სხვა კონტინენტზე, სამხრეთ ამერიკაში და კერძოდ, მექსიკაში. რატომ აუცილებლად მექსიკაში, ამის შესახებ [illegible] იტყობინებიან. ის კი ცნობილია, რომ არაბები კომპენსაციის სახით 6 მილიონ დოლარს ითხოვენ, საორგანიზაციო საკითხების მოსაწესრიგებლად [illegible] ენერგია დავხარჯეთ და გვეკუთვნისო. ფიფაც თანხის გადახდაზე [illegible].

**არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო მინდორს სავარაუდოდ 6 აპრილს დაუბრუნდება. „ინტერი" ამ დღეს „სან სიროზე" იტალიის ჩემპიონატის ტურის მატჩში „რომას" უმასპინძლებს. „ნერო აძურის" მწვრთნელი ექტორ რაულ კუპერი თანამემამულე შეგირდის დაბრუნებას მოუთმენლად ელის. ახლა სერია A-ში გადამწყვეტი მატჩების ჟამი დგება და თუ საჭირო იქნება, ოთხი ფორვარდითაც (რეკობა-კრესპო-ბატისტუტა-ვიერი) ვითამაშებთო.**

**ესპანური** „ბარსელონას" საშინაო სარბიელი, „კამპ ნოუ", ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. 2002 წლის 23 ნოემბერს, „ბარსა" — „რეალის" მატჩისას შეხვედრა გულშემატკივართა აღვირახსნილი მოქმედებათა გამო 13 წუთით შეწყდა. ყოფილ ბარსელონელ, ახლა კი რეალელ ლუიშ ფიგუს მისამართით ტრიბუნებიდან ზილის ნაირ-ნაირი ასორტიმენტი, ბოთლები, სანთებელები, მობილური ტელეფონები და გოჭის თავიც კი ცვიოდა. „ბარსელონას" [illegible] ბას აპელაციის უფლება დაუტოვეს.

**ლიხტენშტაინურ გაზეთ LIECHTENSTEINER VATERLAND-ის რედაქტორი რაინჰარდტ უოლცერი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. მან პოსტზე მარკუს ვაგნერი შეცვალა. 62 წლის უოლცერის კანდიდატურას ორშაბათს გამართულ ფედერაციის ყრილობაზე ერთხმად დაუჭირეს მხარი.**

**ჩილელი** თავდამსხმელის მარსელო სალასის არგენტინულ „რივერ პლეიტში" დაბრუნება დროებით გადაიდო. ტრანსფერის შესახებ მედიას თავად ტურინის „იუვენტუსის" თავდამსხმელმა განუცხადა: „ხვალზე ულევად [illegible] ფრით შევეგუები, მაგრამ ივნისამდე „იუვეში" მოცდა ვარჩიე, სადაც [illegible] ნიც ჩამოთავრდება. „რივერის" უფროსობას უკვე ველაპარაკე". ამბობენ, „იუვენტუსი" ზაფხულში სალასს მართლაც გაუშვებს, სანაცვლოდ კი „რივერ პლეიტიდან" ამომავალ ვარსკვლავად მიჩნეულ ფერნანდო კავენაგის [illegible] კავენაგის გადაბირებას „იუვეს" გარდა „მილანი", „ინტერი", „ბარსელონა" და „ატლეტიკოც" ლამობენ.

**იტალიელმა ბიზნესმენმა ვიტორიო მერლონიმ განაცხადა, რომ იგი ვერ გახდება რომის „ლაციოს" აქციათა პაკეტის სრული მფლობელი, ანუ კლუბის მეპატრონე, რადგან ამისთვის უბრალოდ, მზად არ არის. „ლაციოს" მეპატრონეობა საამაყოა და უდიდეს პასუხისმგებლობასაც გაკისრებს ადამიანს, მაგრამ ჯერ არ ვიჩქარებ, კარგად დავფიქრდები და საქმეს მერე შევუდგები" — ამბობს ვიტორიო მერლონი. მედია კი ამტკიცებს, [illegible] ფინანსურად ძლიერმა კომპანიამ „ლაციოს" ანგარიშზე 32 მილიონი ევრო უკვე გადარიცხაო.**

**ბრაზილიელმა** თავდამსხმელმა რობერტმა, რომელიც მოსკოვის „სპარტაკში" თამაშობს, რუსეთის ჩემპიონატის მეორე ტურის მატჩში, [illegible] ვკაზის „სპარტაკ-ალანიასთან" მატჩის შეხვედრაში, ცხვირი გაიტეხა. როდის განაახლებს ვარჯიშს რობერტი, უცნობია, სამაგიეროდ, „რომანცევის" [illegible] მეორე ბრაზილიელი მცველი, მოიზეს პინეირო დაუბრუნდა.

**გერმანულ „ვერდერის" ბრაზილიელ მეგოლე აილტონს ციხე ემუქრება. ბუნდესლიგის ამჟამინდელი საუკეთესო ბომბარდირი „ჰანოვერთან" მატჩის მერე ბარში ვისკით გამომთვრალა, შინ მისული მექსიკელ მეგობარ გოგონას, როზალის, რაღაცაზე აუხირდა და სასტიკად სცემა. გაზეთი „ბოლდი" იუწყება, 29 წლის როზალიმ აილტონის მუშტებს და ფეხებს რომ ვერ გაუძლო, საშველად პოლიციას უხმო და სასამართლოში სარჩელიც შეიტანაო.**

**ესპანური** მადრიდის „რეალის" სპორტულმა დირექტორმა ხორხე ვალდანომ დიდი თანამემამულე დიეგო არმანდო მარადონა გააკრიტიკა და მას ბეცი უწოდა. რამ განარისხა 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, მარადონასთან ერთად არგენტინის გამჩემპიონებელი და მეგობარი? დიეგოს თქმით [illegible] მადრიდის „რეალი" ისეთი კლუბია, ულვაშა მწვრთნელი [illegible] არც სჭირდება, მეტიც, მისი დონის და შესაფერისი არ გახლავთო. ვალდანომ კი უპასუხა, გუნდში რომ ვარსკვლავები არიან და ყველას [illegible] მეგობრობა აკავშირებთ, სწორედ დელ ბოსკეს დამსახურებაა, იგი პროფესიონალია და თავის საქმესაც ჩინებულად ასრულებსო.


სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში
ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება მოხდება
შერჩევით
მსურველებმა მოგვაკითხეთ
„სარბიელის" რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42,
II კორპუსი, IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის
დარეკეთ
39-48-29, 38-11-14



UAB "Billjardai"
Zeus COMPANY
Billjardai
ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები
1000-ზე მეტი დასახელების



saluc
Master
[illegible]
ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46
თბილისი, [illegible] N2



რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

29 მარტი: იტალია – ფინეთი



ჯოვანი ტრაპატონიმ ხალხს პირი დაალებინა

## ტრაპატონიმ იტალიას პირში ინძაგი გამოავლო

### მწვრთნელმა სთხოვა, მაგრამ არ მიუცია

ჯოვანი ტრაპატონიმ 20 კაცს უხმო. „სკუადრა აძურას" ქომაგებმა გაოცებისგან პირი დაალეს, 20-ში ალესანდრო დელ პიერო და ფილიპო ინძაგი რომ ვერ აღმოაჩინეს. მასმედიისგან ისედაც ნაჯიჯგნ მწვრთნელს, ცხადია, პასუხი მოსთხოვეს.

ახლახან გამოჯანმრთელებულმა დელ პიერომ „ბაზელთან" 20 წუთი ითამაშა, „მილანთან" კი სრული ერთი ტაიმი. ტრაპატონის ახალმოშუშებული ფეხბურთელის ფორმისა არ სჯერა და ნაკრებს მილმა დატოვა. მისი თქმით, ალესანდრო 90-წუთიანი ბრძოლისთვის მზად არ არის.

ტურინელის არყოფნა რომ ახსნა, მწვრთნელს ფილიპო ინძაგის გამოუძახებლობის მიზეზიც ჰკითხეს. „იუვენტუსთან" ბოლო ტურში „პიპომ" გოლიც კი გაიტანა. „სკუადრა აძურას" თავკაცმა უინძაგობაზე თქვა: „ჩემს ფეხბურთელებს სამი რომ მოვთხოვე: ენთუზიაზმი, რწმენა და ჯანზე ყოფნა. ამ პრინციპზე დაყრდნობით ის გამოვიდა, რომ 22-ის ნაცვლად 20 კაცი შემრჩა. ინძაგისთან, ისევე როგორც გატუზოსთან, ყველაფერი დაწვრილებით გავარკვიე. „პიპომ" კუნთის ტკივილზე დაიწუწუნა და მითხრა, რომ მის მოკეთებას რამდენიმე დღე დასჭირდება. მე არ დამიძალებია და არც თამაშის გარანტია მიმიცია. ეს შენი მატჩი არაა, ამის გამო მკურნალობას ნუ დააჩქარებ-მეთქი — სულ ეს იყო, რაც ვუთხარი."

იტალიელი ჟურნალისტები ტრაპატონის სიტყვას ჩაებღაუჭნენ და ჰკითხეს, ფეხბურთელმა ძირითადში თამაშის გარანტია ხომ არ მოგთხოვათო. „არა — დააზუსტა მწვრთნელმა — მხოლოდ სრული მზადყოფნა ვთხოვე, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში თამაშის პირობა არავისთვის მიმიცია."

ფრანჩესკო ტოტი კვლავ მოირგებს ცისფერ მაისურას. მას შარშანდელი ზაფხულიდან, სამხრეთ კორეასთან პრანჭვა-გრეხვისთვის რომ გააძევეს, ნაკრებში არ უთამაშია. გადაწყვეტილია კრისტიან ვიერის თამაშიც. სავარაუდოდ, ტრაპატონი „ინტერის" ფორვარდს, „პერუჯას" მეგოლეს, ფაბრიციო მიკოლის შეუწყვილებს. მიკოლიმ თებერვალში პორტუგალიის წინააღმდეგ კარგი ბურთაობით მწვრთნელის ქება დაიმსახურა. ოცეულში ადგილი დაიბევეს გაიტალიელებულმა მაურო კამორანეზიმ და ლაციოელმა ბერნარდო კორადიმ. ეს ის კორადია, პორტუგალიელებს გოლი რომ გაუტანა.

იტალიელები ჯერჯერობით სატურნირო მდგომარეობით ვერ დაიტრაბახებენ. სამ მატჩში მხოლოდ 4 ქულა მოაგროვეს და ლიდერ უელსს ხუთი ქულით ჩამორჩებიან.

**გაგა ხუციშვილი**

### იტალია

*მეკარეები:* ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), ფრანჩესკო ტოლდო (ინტერი);

*მცველები:* ფაბიო კანავარო (ინტერი), ალესანდრო ნესტა (მილანი), კრისტიან პანუჩი (რომა), ნიკოლა ლეგროტალიე (კიევო), მატეო ფერარი (პარმა), ალესანდრო ბირინდელი (იუვენტუსი);

*ნახევარმცველები:* ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი), მაურო კამორანეზი (იუვენტუსი), სტეფანო ფიორე (ლაციო), სიმონე პეროტა (კიევო), კრისტიანო ძანეტი (ინტერი), ანდრეა პირლო (მილანი), დამიანო ტომაზი (რომა), ფრანჩესკო ტოტი (რომა);

*თავდამსხმელები:* ბერნარდო კორადი (ლაციო), მარკო დელვეკიო (რომა), ფაბრიციო მიკოლი (პერუჯა), კრისტიან ვიერი (ინტერი)







ანდრეა პირლო და კრისტიან ვიერი ალბათ ჩვეულად გაირჯებიან, ბერნარდო კორადი კი ფილიპო ინძაგის შეცვლის

## თქვენი ჯიგარი დაიწვა

### ფოგთსმა შოტლანდიელებს შოტლანდიელობა დაუწუნა

29 მარტი: შოტლანდია – ისლანდია

2 აპრილი: ლიტვა – შოტლანდია



ბერტი ფოგთსი გუნდს ისლანდიასთან საომრად ამზადებს. თებერვალში ირლანდიასთან ამხანაგურ მატჩში დამარცხებულ შეგირდებს გერმანელმა ჯიგარი დაუწუნა — შოტლანდიელები ხართ, უგულოდ თამაში არ გეკადრებათო. მწვრთნელმა ისლანდიამდე ბიჭებს უხმო და გვარიანად შეახურა. მან ფეხბურთელებს ჯიგრის წვაზე ლექცია წაუკითხა. თავყრილობიდან გამოსული დონ ჰაჩისონი ფოგთსის ლექციით აღტაცებული იყო. „ვესტ ჰემის" ფორვარდს 20 სანაკრებო მატჩში უთამაშია და 6 გოლიც გაუტანია. „ჩვენ გულწრფელად ვისაუბრეთ — თქვა ჰაჩისონმა — მწვრთნელი მართალია, როცა მეტ შემართებას გვთხოვს. შოტლანდია მსოფლიო კლასის ფეხბურთელებით განებივრებული არაა, ამიტომ მოედანზე შედეგის მისაღწევად ბოლომდე დახარჯვა გვმართებს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ვთამაშობთ. დეტალურად ვერ მოგიყვებით, რაზე ვილაპარაკეთ, მაგრამ გამგებმა გასაგები გაიგო. ირლანდიასთან უსუსურად გამოვიყურებოდით და ქომაგმაც უგულობა დაგვწამა. პირადად მე მოედანზე ყოველთვის ვიბრძვი, რადგან ვიცი, რომ ოფლი თუ არ დავღვარე, ძირითადში ვერ მოვხვდები. ცხოვრებაში არასოდეს მიფიქრია, არიქა, შეუცვლელი ვარ და მინდორზე როგორც მსურს, ისე ვისეირნებ-მეთქი. წინ ორი მატჩი გველის. ქომაგებს ძველებური შოტლანდიის ნაკრების ხილვა სწადიათ და ვპირდები, თავს არ დავზოგავთ. ისლანდიას პირველ შეხვედრაში რეიკიავიკში ვძლიეთ. შაბათს თუ მოვიგეთ, მეორე ადგილისთვის ვიბრძოლებთ, თუმცა ბერტი ფოგთსს მიაჩნია, რომ ჯგუფში პირველობაც შეგვიძლია. საამისოდ გერმანელთა წაქცევაა საჭირო".

დონ ჰაჩისონს ორიოდ თვის წინ მამა გარდაეცვალა და, მისივე თქმით, თუ ისლანდიას დაამარცხებენ, გამარჯვებას მამის ხსოვნას მიუძღვნის.

**გაგა ხუციშვილი**

29 მარტი: ესპანეთი – უკრაინა

2 აპრილი: სომხეთი – ესპანეთი

## საესმა ჰუშმეინო იყნოსა



პრიმერადივიზიონის ბოლო ტურის შემდეგ ესპანეთის ნაკრები ხერესში შეიკრიბა. დღეს პირენეელები კიევში გაემგზავრებიან. ესპანური პრესის ცნობით, ფეხბურთელებს მხოლოდ ერთი რამ აღელვებთ — ბალდადისა და კიევის სიახლოვე. ხერესში რუკა ყვარყვარესავით უკუღმა გაშალეს თუ რა, უცნობია, მაგრამ ალბათ ინაკი საესი უკუღმადაც კარგად ხედავს. „მარკას" კორესპონდენტთან საუბარში ესპანელთა მთავარ მწვრთნელს უთქვამს, იმედი მაქვს, უკრაინაში საფრთხე არ გვემუქრებაო: „რადგან უეფა აღმოსავლეთ ევროპაში მატჩის გამართვაზე ყაბულსაა, ალბათ შიშის საფუძველი არ არსებობს. ჩვენი საქმეა ფეხბურთის თამაში, უკრაინელი სამართალდამცავებისა კი — უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დარწმუნებული ვარ, ისინი პროფესიონალები არიან".

ესპანურ ბანაკში ჯერჯერობით სიმშვიდეა. დისკვალიფიკაციის გამო მთავარ ნაკრებს ივან ელგერა დააკლდება, ახალგაზრდულს კი — არტეტა. მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, ისინი ტყუილად არ შეაწუხონ. სასჯელმოხდილნი გუნდს კვირას ვალიადოლიდში შეუერთდებიან და სომხებთან სათამაშოდ მოემზადებიან.

**გაგა ხუციშვილი**

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## 29 მარტი: ხორვატია – ბელგია

### ბელგია

*მეკარეები:* გერტ დე ფლიგერი (ტილბურგი, ჰოლანდია), ფრენკი ვანდენდრიშე (მუსკრონი);
*მცველები:* იოს ვალგაერენი (სელტიკი, შოტლანდია), ერიკ დეფლანდრე (ლიონი, საფრანგეთი), დანიელ ვან ბუიტენი (მარსელი, საფრანგეთი), პეტერ ვან დერ ჰიდენი (ბრიუგე), ტიმი სიმონსი (ბრიუგე), ოლივიე დე კოკი (ბრიუგე), ჟილ ვან დამი (აიაქსი, ჰოლანდია);
*ნახევარმცველები:* ვალტერ ბასეჯიო (ანდერლეხტი), დევი დე ბიული (ლოკერენი), ბერნდ ტიისი (გენკი), ჟატან ენგლებერტი (ბრიუგე), ბარტ გოორი (ჰერტა, გერმანია), ტომ სოტერსი (როდა, ჰოლანდია);
*თავდამსხმელები:* ემილ მპენზა (შალკე, გერმანია), თომას ბუფელი (ფეიენოორდი, ჰოლანდია), სანდი მარტენსი (ბრიუგე), უესლი სონკი (გენკი), სედრიკ რუსელი (მონსი)

### ხორვატია

*მეკარეები:* სტიპე პლეტიკოშა (ჰაიდუკი), ტომისლავ ბუტინა (დინამო);
*მცველები:* დარიო შიმიჩი (მილანი, იტალია), რობერტ კოვაჩი (ბაიერნი, გერმანია), იგორ ტუდორი (იუვენტუსი, იტალია), ბორის ჟივკოვიჩი (ლევერკუზენი, გერმანია), მარიო ტოკიჩი (გრაცერი, ავსტრია), სტიეპან ტომაში (კომო, იტალია), იოსიპ სიმუნიჩი (ჰერტა, გერმანია);
*ნახევარმცველები:* მარკო ბაბიჩი (ლევერკუზენი, გერმანია), ჟერკო ლეკო (დინამო, უკრაინა), ჯოვანი როსო (მაკაბი, ჰაიფა, ისრაელი), მილან რაპაიჩი (ჰაიდუკი), დარიო სრნა (ჰაიდუკი), მილენკო მუმლეკი (ვარტექსი), ნიკო კოვაჩი (ბაიერნი, გერმანია);
*თავდამსხმელები:* ივიცა ოლიჩი (დინამო), ტომისლავ მარიჩი (ვოლფსბურგი), დადო პრსო (მონაკო, საფრანგეთი), მარიო სტანიჩი (ჩელსი, ინგლისი), ივიცა მორნარი (ანდერლეხტი, ბელგია)

## 29 მარტი: ჰოლანდია – ჩეხეთი

## 2 აპრილი: ჩეხეთი – ავსტრია

### ჩეხეთი

*მეკარეები:* იარომირ ბლაჟეკი (სპარტა), პეტრ ჩეხი (რენი, საფრანგეთი);
*მცველები:* რენე ბოლფი (ბანიკი), ზდენეკ გრიგერა, ტომაშ ჰუბშმანი (ორივე სპარტა), მარეკ იანკულოვსკი (უდინეზე, იტალია), მარტინ ჟირანეკი (რეჯინა, იტალია), ტომაშ იუჟფალუში (ჰამბურგი, გერმანია);
*ნახევარმცველები:* რიჩარდ დოშტალეკი, პატრიკ გედეონი (ორივე სლავია), ტომაშ გალაშეკი (აიაქსი, ჰოლანდია), ირჟი იაროშიკი (ცსკა, რუსეთი), პაველ ნედველი (იუვენტუსი, იტალია), კარელ პობორსკი (სპარტა), ტომაშ როსიცკი (დორტმუნდი, გერმანია), ვლადიმირ შმიცერი (ლივერპული);
*თავდამსხმელები:* მილან ბაროში (ლივერპული, ინგლისი), იან კოლერი (დორტმუნდი, გერმანია), ვრატისლავ ლოკვენცი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), სტეპან ვახოუშეკი (სლავია)

### ავსტრია

*მეკარეები:* თომას მანდლი (აუსტრია), ჰელგე პაიერი (რაპიდი);
*მცველები:* რენე აუფჰაუზერი (გრაცერი), ერნსტ დოსპელი (აუსტრია), ანტონ ემანი (გრაცერი), თომას ფლოგელი (აუსტრია), მარიო ჰაიბლინგერი (კერნტენი), ანდრეას ივანჩიცი (რაპიდი), მარკუს კატცერი (ადმირა ვაკერი);
*ნახევარმცველები:* ბოზო კოვაჩევიჩი (პაშინგი), ჰელმუტ რიგლერი (პაშინგი), ემანუელ პოგატეცი (აარაუ, შვეიცარია), პოლ შარნერი (აუსტრია), მარკუს შოპი (ბრეშა, იტალია), მარტინ შტრანცლი (მიუნხენი, გერმანია), მიხაელ ვაგნერი (აუსტრია), მარკუს ვაისენბერგერი (მიუნხენი, გერმანია);
*თავდამსხმელები:* ანდრეას ჰერცოგი (რაპიდი), რონალდ კოლმანი (გრაცერი), მარიო ჰაასი (შტურმი), როლანდ გორიუპი (კერნტენი), ალექსანდრ ჰორტნაგლი (პაშინგი)

## ამხანაგური მატჩი. 29 მარტი

## პორტუგალია – ბრაზილია

# ძველი ბიჭების ახალი სამყარო

## ლუიში და კარლოსი პორტუში გაემგზავრნენ





ლუიშ ფელიპე სკოლარის ლუიშ ფიგუმ და მანუელ რუი კოშტამ საჯაროდ პოლიტიკა დაუწუნეს და ძალიანაც გააბრაზეს

საქმე ასეა: პორტუგალიელთა ახალი მწვრთნელი ბრაზილიელთა ძველი თავკაცია, ბრაზილიელთა ახალი თავკაცი კი ხუთგზის ჩემპიონთა ძველი მწვრთნელია. აბდაუბდა რომ არ გამოვიდეს, ლუიშ ფელიპე სკოლარის პორტუგალია კარლოს ალბერტო პარეირას ბრაზილიას შეხვდება. ევროპის მომავალი ჩემპიონატის მასპინძლები მსოფლიოს ჩემპიონების დასამარცხებლად ემზადებიან. პარეირა გულშემატკივრებს თვალსასეირო ფეხბურთს ჰპირდება: „ყველანაირი პირობა არსებობს იმისთვის, რომ ქომაგმა სანახაობით ისიამოვნოს. ამხანაგური კი ჰქვია, მაგრამ ორივე გუნდი ჯიგრიანად იბრძოლებს. ვიცი, პორტუგალიელებს ბრაზილიელთა ძლევა როგორ გაახარებთ. მსოფლიოს ჩემპიონთა წაქცევა ხუმრობა საქმე არ არის, თუმცა მათ წინასწარ შევახსენებ რომ, ბრაზილია ნებისმიერ მატჩში მოსაგებად გადის".

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ნაკრებში 25 წლის დეკო სოუზასაც უხმო. ბრაზილიელმა დეკომ ახლახან პორტუგალიის მოქალაქეობა მიიღო და თანამემამულე მწვრთნელმაც უყურადღებოდ არ დატოვა. ალბათ გახსოვთ, ლუიშ ფიგუმ და რუი კოშტამ საჯაროდ იწყინეს სკოლარისგან დეკოს მიწვევა, მწვრთნელმა კი მოკლედ მოუჭრა, ვისაც მის გვერდით თამაში არ სურს, შეუძლია ქუდი დაიხუროსო.

კარლოს ალბერტო პარეირამ 25 წლის ფეხბურთელს სიტყვა შეაწია: „ის სწორად მოიქცა. ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრის შანსი დიდი კონკურენციის გამო, ფაქტობრივად, არ ჰქონდა, პორტუგალიელებისთვის კი მნიშვნელოვანი შენაძენია".

თავად დეკომ ფიგუ-კოშტას ნათქვამი გულთან ახლოს არ მიიტანა: „ვფიქრობ, რომ მათ მხოლოდ თავისი აზრი გამოთქვეს და პირადად ჩემი საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. ოდნავაც არ მწყენია. გუნდში ყველაფერი რიგზეა, ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს. პირველი მატჩი ბრაზილიასთან მიწევს, იქ კი დავიბადე, მაგრამ პორტუგალიის მოქალაქობა და აქაურ ნაკრებში თამაში ვარჩიე. თავს არ დავზოგავ, რადგან დებიუტი მსოფლიოს ჩემპიონთა დამარცხებით მინდა აღვნიშნო".

ბენფიკელმა ნუნუ გომეშმა დეკუს კვერი დაუკრა: „ის ნამდვილი პორტუგალიელია და ბრწყინვალე მოთამაშეა. წარმატებას ვუსურვებ, ერთად შევეცდებით, ბრაზილია ბეჭებზე დავცეთ".

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ მატჩისთვის კიდევ ერთი ახალწვეული, პორტუელი მანიჩე რიბეირუ იახლა. 2 აპრილს კი მაკედონიასთან ალბათ ლეირიელ სილასსაც გამოცდის. ორ ამხანაგურ შეხვედრაში პორტუგალიელებს ვიტორ ბაია, ჟოაუ პინტუ და ლუიშ ბოა მორტე ვერ დაეხმარებიან.

თავის მხრივ, ნაკრებსა და გუნდს ექვსი კვირით ბრაზილიელი ედილსონი ჩამოშორდება. მის მარჯვენა მუხლს საოპერაციო მაგიდაზე შეაგდებენ და 25 წლის ფეხბურთელს შვებულებას გამოუწერენ.

**გაგა ხუციშვილი**

### პორტუგალია

*მეკარეები:* რიკარდუ პერეირა (ბოავიშტა), კიმ სილვა (ბრაგა);
*მცველები:* მარიუ სილვა (პორტუ), პაულუ ფერეირა (პორტუ), ფერნანდუ კოუტუ (ლაციო, იტალია), ჟორჟე ანდრადე (დეპორტივო, ესპანეთი), რიკარდუ როჩა (ბენფიკა), ფერნანდუ მეირა (შტუტგარტი, გერმანია), რუი ჟორჟე (სპორტინგი);
*ნახევარმცველები:* დეკო სოუზა (პორტუ), მანუელ რუი კოშტა (მილანი, იტალია), ფრანსისკო კოშტინია (პორტუ), სერჟიუ კონსეისაუ (ინტერი, იტალია), ლუიშ ფიგუ (რეალი, ესპანეთი), პედრუ მენდეში (გიმარაეში), მიგელ მირანდა (ბენფიკა), სილას ფერნანდეში (ლეირია), მანიჩე რიბეირუ (პორტუ), ლუიშ ლოურეირუ (ჟილ ვისენტე);
*თავდამსხმელები:* სიმაო საბროსა (ბენფიკა), პედრუ პაულეტა (ბორდო, საფრანგეთი), ნუნუ გომეში (ბენფიკა)

# ეს ის კაცია!

## იურგენ კოლერს ლევერკუზენის მომავალი ჩააბარეს



„ლევერკუზენის" მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა კლუბის სპორტულ დირექტორად გუშინ 37 წლის იურგენ კოლერი დანიშნა. განთქმული მცველი, ბუნდესნაკრებში 105 კეპის მომხვეჭი კოლერი აქამდე გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებს წვრთნიდა.

„ჩვენ წინ ვიხედებით და კლუბის აღორძინება გვსურს. ამიტომაც გავაფორმეთ კოლერთან საკმაოდ ხანგრძლივი, ხუთწლიანი კონტრაქტი. დარწმუნებული ვარ, ის სწორედ ის კაცია, ვინც ამ მძიმე პერიოდში გვჭირდება" — თქვა კალმუნდმა. არადა, შარშან გასაოცრად კარგად მოთამაშე „ლევერკუზენს" მართლაც უმძიმესი დრო უდგას. სეზონის დასრულებამდე რვა ტურით ადრე გუნდი ბოლოსწინა ადგილზეა, თუმცა ბუნდესლიგაში დარჩენის არცთუ ურიგო შანსი აქვს — მე-11 ადგილზე მყოფ „კაიზერსლაუტერნს" ოდენ ოთხი ქულით ჩამორჩება.

„კლუბმა დიდი საქმე დამაკისრა — დასძინა თავად კოლერმა — მაგრამ ამ გუნდს უდიდესი პოტენციალი გააჩნია და საბოლოო წარმატებაში ეჭვი არ მეპარება."

კაპიტანი კარსტენ რამელო კი იურგენ კოლერის დანიშვნას ასე შეხვდა: „იურგენი დიდ სარგებლობას მოგვიტანს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მარტო ვერაფერს გახდება. გუნდი ყველამ ერთად უნდა გადავარჩინოთ."

ამ დანიშვნას გამოეხმაურა ბუნდესნაკრების მწვრთნელი რუდი ფიოლერიც, რომელიც თავის დროზე სწორედ „ლევერკუზენის" სპორტული დირექტორი იყო: „კარგია, რომ საფეხბურთო კავშირმა კოლერს ლევერკუზენში წასვლაში ხელი არ შეუშალა, ხოლო კლუბმა მისი მიწვევით აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო." სხვათა შორის, საფეხბურთო კავშირი იმიტომ დაყაბულდა „ლევერკუზენს" და უპრობლემოდ გაუშვა კოლერი ახალგაზრდული ნაკრებიდან, რომ 2000 წლის ზაფხულში თავად „ლევერკუზენი" შეხვდა სრული გაგებით კავშირის სურვილს და რუდი ფიოლერი უკომპენსაციოდ გაუშვა ბუნდესნაკრებში.

იურგენ კოლერი ფეხბურთელობისას „კიოლნში", „ბაიერნში", „იუვენტუსსა" და „დორტმუნდში" თამაშობდა.

**ირაკლი ნინიძე**



ფეხბურთელობისას იურგენ კოლერის ბოლო მატჩი უეფას თასის შარშანდელი ფინალი იყო, რომელიც მას მწარედ დაამახსოვრდა: ფეიენოორდელი იონ დალ ტომასონის წაქცევისთვის გააძევეს და მისი „დორტმუნდი" პენალტითაც დასაჯეს

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 17.00 | 002 | ბაბელსბერგი-კილი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXVII ტური** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 004 | საარბრიუკენი-აუგსბურგი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 22.00 | 005 | უნტერჰახინგი-ოფენბახი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 006 | უნტერჰახინგი-ოფენბახი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 17.30 | 007 | აინტრახტი(მ)-ერფურტი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 17.30 | 008 | რეგენსბურგი-ბაიერნი(მ) | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 009 | ჰოფენჰაიმი-ვეენი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 17.30 | 010 | კიკერსი-აალენი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 011 | ზიგენი-ფულენდორფი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 21.00 | 012 | დარმშტადტი-შვაინფურტი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXXX ტური** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 017 | დერბი-მილუოლი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 018 | ჯილინგემი-იფსვიჩი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 019 | ნორვიჩი-ბრედფორდი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 19.00 | 020 | უენსდი-უოტფორდი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXX ტური** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 021 | ბლეკპული-ქუინს პარკი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 022 | ბრენტფორდი-ნორთჰემპტონი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 19.00 | 023 | ბრისტოლი-ბარნსლი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 024 | კოლჩესტერი-სუინდონი | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 19.00 | 025 | ქრიუ-სტოკპორტი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 026 | ქრიუ-სტოკპორტი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 027 | მენსფილდი-პიტერბორო | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 19.00 | 028 | ნოტსი-ჰადერსფილდი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 19.00 | 029 | ოლდემი-პორტ ვეილი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 030 | ტრანმერი-ჩესტერფილდი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 031 | უიგანი-პლიმუთი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXX ტური** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 036 | სუონსი-ოქსფორდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 037 | კემბრიჯი-სკანთორპი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 038 | დარლინგტონი-ბერი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 19.00 | 039 | ჰარტლპული-ბორნმუთი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 040 | ლინკოლნი-როვერსი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 19.00 | 041 | მაკლსფილდი-კიდერმინსტერი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 042 | რაშდენი-ექსეტერი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 19.00 | 043 | ტორკი-ბოსტონი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 044 | იორკი-საუთენდი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 083 | ეიბარი-კომპოსტელა | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |
| 20.00 | 084 | ხერესი-კორდობა | 1,9 | 2,8 | 4,6 | 1,13 | 1,34 | 1,74 |
| 24.00 | 085 | ლას პალმასი-ალბასეტე | 2,6 | 2,7 | 2,9 | 1,32 | 1,37 | 1,39 |
| 00.30 | 086 | ელჩე-ლევანტე | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,4 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 15.00 | 087 | ლეგანესი-ეხიდო | 2,6 | 2,7 | 2,9 | 1,32 | 1,37 | 1,39 |
| 20.00 | 088 | ბადახოსი-ტენერიფე | 2,8 | 2,8 | 2,6 | 1,4 | 1,34 | 1,34 |
| 20.00 | 089 | სპორტინგი-სალამანკა | 2,0 | 2,7 | 4,4 | 1,14 | 1,37 | 1,67 |
| 20.00 | 090 | ტერასა-ფეროლი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 20.00 | 091 | ალმერია-ოვიედო | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 21.00 | 092 | სარაგოსა-ხეტაფე | 1,65 | 3,1 | 6,0 | 1,07 | 1,29 | 2,04 |
| 23.30 | 093 | ნუმანსია-მურსია | 2,8 | 2,7 | 2,7 | 1,37 | 1,37 | 1,35 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 22.15 | 094 | შატორუ-ტულუზი | 2,3 | 2,9 | 3,2 | 1,28 | 1,33 | 1,52 |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 23.00 | 095 | ბოვე-ნიორი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 23.00 | 096 | კაენი-სტ.ეტიენი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 23.00 | 097 | კლერმონი-ამიენი | 1,95 | 2,9 | 4,2 | 1,16 | 1,33 | 1,71 |
| 23.00 | 098 | კრეტეი-მეცი | 3,0 | 2,8 | 2,45 | 1,44 | 1,34 | 1,3 |
| 23.00 | 099 | გრენობლი-გენიონი | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 23.00 | 100 | ლავალი-ისტრი | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 23.00 | 101 | ნანსი-რეიმსი | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1,11 | 1,33 | 1,76 |
| 23.00 | 102 | ვალანსი-ლე მანი | 2,6 | 2,8 | 2,8 | 1,34 | 1,34 | 1,4 |
| 23.00 | 103 | ვასკეალი-ლორიანი | 2,7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 17.30 | 104 | დენ ბოსხი-დენ ჰააგი | 3,0 | 3,4 | 2,15 | 1,59 | 1,25 | 1,31 |
| | | **ბელგია. II დივიზიონი. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 105 | გეელი-ვირტონი | 1,95 | 2,8 | 4,4 | 1,14 | 1,35 | 1,71 |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 106 | დესელი-რუსელარე | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 23.00 | 107 | ეუპენი-დაინცე | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 108 | ინგელმუნსტერი-პატრო | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 18.00 | 109 | ტინენი-ლიეჟი | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 18.00 | 110 | ვარეგემი-ვიგორი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 18.00 | 111 | რონსე-სტრომბეკი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 18.00 | 112 | სერკლი-ვიზეტი | 1,7 | 3,1 | 5,3 | 1,09 | 1,28 | 1,95 |
| 18.00 | 113 | დენდერლეუ-ჰეუსდენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 129 | ვოლენი-კონკორდია | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| | | **შვეიცარია. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 134 | შაფჰაუზენი-სტ.გალენი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **ევრო 2004. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 143 | სომხეთი-ჩრდ.ირლანდია | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 19.00 | 144 | საქართველო-ირლანდია | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 19.00 | 145 | შოტლანდია-ისლანდია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 19.30 | 146 | უელსი-აზერბაიჯანი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 147 | უელსი-აზერბაიჯანი 0:1 | 1,45 | 3,5 | 4,2 | | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 148 | რუმინეთი-დანია | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 20.30 | 149 | ბელარუსი-მოლდოვა | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 21.00 | 150 | კვიპროსი-ისრაელი | 3,4 | 3,1 | 2,1 | 1,62 | 1,29 | 1,25 |
| 21.00 | 151 | ალბანეთი-რუსეთი | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |
| 21.30 | 152 | ლიხტენშტაინი-ინგლისი | 30,0 | 10,0 | 1,03 | 7,5 | 1 | 1 |
| 21.30 | 153 | ხორვატია-ბელგია | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 22.00 | 154 | გერმანია-ლიტვა | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 155 | გერმანია-ლიტვა 0:2 | 1,85 | 3,5 | 2,5 | | | |
| 22.00 | 156 | უკრაინა-ესპანეთი | 3,1 | 3,1 | 2,25 | 1,55 | 1,3 | 1,3 |
| 22.00 | 157 | მაკედონია-სლოვაკეთი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 23.00 | 158 | პოლონეთი-უნგრეთი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 23.15 | 159 | ბოსნია-ლუქსემბურგი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 160 | ბოსნია-ლუქსემბურგი 0:1 | 1,45 | 3,5 | 4,2 | | | |
| 23.30 | 161 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 23.45 | 162 | საფრანგეთი-მალტა | 1,01 | 12,5 | 30,0 | 1 | 1 | 8,82 |
| | 163 | საფრანგეთი-მალტა 0:4 | 2,1 | 4,0 | 2,1 | | | |
| 24.00 | 164 | იტალია-ფინეთი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 165 | იტალია-ფინეთი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **ეჩ შესარჩევი მატჩები (21 წლამდე)** | | | | | | |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 15.00 | 166 | სომხეთი(21)-ჩრდ.ირლანდია(21) | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 17.00 | 167 | საქართველო(21)ირლანდია(21) | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 17.30 | 168 | კვიპროსი(21)-ფინეთი(21) | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 18.30 | 169 | ხორვატია(21)-ბელგია(21) | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| 19.00 | 170 | რუმინეთი(21)-დანია(21) | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 20.00 | 171 | ბოსნია(21)-ლუქსემბურგი(21) | 1,04 | 10,0 | 25,0 | 1 | 1 | 7,14 |
| | 172 | ბოსნია(21)-ლუქსემბურგი(21) 0:4 | 2,2 | 4,0 | 2,0 | | | |
| 20.00 | 173 | უკრაინა(21)-ესპანეთი(21) | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 20.30 | 174 | პოლონეთი(21)-უნგრეთი(21) | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 22.15 | 175 | პორტუგალია(21)-ინგლისი(21) | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 22.30 | 176 | ჰოლანდია(21)-ჩეხეთი(21) | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 22.30 | 177 | გერმანია(21)-ლიტვა(21) | 1,1 | 7,5 | 17,0 | 1 | 1,03 | 5,2 |
| | 178 | გერმანია(21)-ლიტვა(21) 0:3 | 2,1 | 4,0 | 2,1 | | | |
| 23.30 | 179 | შოტლანდია(21)-ისლანდია(21) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 180 | შოტლანდია(21)-ისლანდია(21) 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 23.30 | 181 | უელსი(21)-აზერბაიჯანი(21) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 182 | უელსი(21)-აზერბაიჯანი(21) | 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | |
| 23.45 | 183 | საფრანგეთი(21)-მალტა(21) | 1,01 | 12,5 | 30,0 | 1 | 1 | 8,82 |
| | 184 | საფრანგეთი(21)-მალტა(21) | 0:4 | 2,1 | 4,0 | 2,1 | | |
| 24.00 | 185 | იტალია(21)-ფინეთი(21) | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 186 | იტალია(21)-ფინეთი(21) | 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 16.00 | 187 | ალბანეთი(21)-რუსეთი(21) | 5,0 | 3,4 | 1,65 | 2,02 | 1,24 | 1,11 |
| 17.00 | 188 | ბელარუსი(21)-მოლდოვა(21) | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 18.00 | 189 | მაკედონია(21)-სლოვაკეთი(21) | 3,0 | 3,2 | 2,25 | 1,54 | 1,28 | 1,32 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 02.00 | 217 | სერო პორტენიო-პაისანდუ | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 04.10 | 218 | ამერიკა დე კალი-ელ ნასიონალი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 06.00 | 219 | სპ.კრისტალი-უნ.კატოლიკა | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **27 მარტი** | | | | | | |
| 18.15 | 222 | სერბია-ბულგარეთი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **28 მარტი** | | | | | | |
| 14.45 | 223 | იაპონია-ურუგვაი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 14.45 | 224 | კორეა-კოლუმბია | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 16.00 | 225 | ესტონეთი-კანადა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 00.15 | 226 | პორტუგალია-ბრაზილია | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |
| 01.00 | 227 | აშშ-ვენესუელა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 06.30 | 228 | კოსტა რიკა-პარაგვაი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| | | **30 მარტი** | | | | | | |
| 04.00 | 229 | ჩილე-პერუ | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **29 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 801 | ტუა-რაჰმანი | 1,25 | 20,0 | 3,1 | | | |


სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

ბიურომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30 კვირა 12.00–20.30


# ჩემპიონები და თასის აღება

**ჩემპიონები და თასი აღება**
**ჩემპიონთა თასი**
**8 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 001 | რეალი | 3.8 |
| 002 | მანჩესტერი | 4.0 |
| 003 | მილანი | 4.4 |
| 005 | იუვენტუსი | 6.0 |
| 007 | ინტერი | 6.0 |
| 006 | ბარსელონა | 7.0 |
| 008 | ვალენსია | 7,5 |
| 011 | აიაქსი | 15,0 |

**უეფას თასი**
**10 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 021 | ლაციო | 2,0 |
| 025 | სელტიკი | 2,5 |
| 024 | პორტუ | 4.2 |
| 034 | ბოავიშტა | 7.0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა**
**5 აპრილი (16.30)**

| | | |
|---|---|---|
| 051 | არსენალი | 1,35 |
| 052 | მანჩესტერი | 2.5 |
| 055 | ნიუკასლი | 12,0 |

**იტალია. სერია A**
**5 აპრილი (21.00)**

| | | |
|---|---|---|
| 063 | იუვენტუსი | 1.7 |
| 062 | ინტერი | 2.3 |
| 061 | მილანი | 4,0 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**
**5 აპრილი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 071 | რეალი | 1.1 |
| 072 | სოსიედადი | 3.5 |
| 074 | დეპორტივო | 4,4 |
| 073 | ვალენსია | 9,0 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**
**5 აპრილი (20.15)**

| | | |
|---|---|---|
| 082 | ლიონი | 2.6 |
| 081 | მარსელი | 2,6 |
| 083 | მონაკო | 2.6 |
| 089 | ბორდო | 3,5 |
| 088 | ნანტი | 10,0 |
| 085 | პსჟ | 10,0 |
| 084 | ოსერი | 15,0 |
| 086 | ნიცა | 30,0 |
| 087 | ლანსი | 30,0 |

**საბერძნეთი**
**I დივიზიონი**
**5 აპრილი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 121 | ოლიმპიაკოსი | 1,7 |
| 122 | პანათინაიკოსი | 1,7 |
| 124 | აეკ | 12,0 |

**ჩეხეთი**
**5 აპრილი (17.25)**

| | | |
|---|---|---|
| 191 | სპარტა | 1,4 |
| 192 | სლავია | 2,2 |

**პოლონეთი.**
**5 აპრილი (18.00)**

| | | |
|---|---|---|
| 196 | ვისლა | 1,2 |
| 197 | ლეგია | 3,0 |
| 198 | კატოვიცე | 5,0 |
| 199 | ოდრა | 7,0 |

**თურქეთი**
**I ლიგა**
**4 აპრილი (22.00)**

| | | |
|---|---|---|
| 132 | ბეშიქთაში | 1,35 |
| 131 | გალათასარაი | 2,5 |

**შოტლანდია**
**პრემიერლიგა**
**5 აპრილი (19.00)**

| | | |
|---|---|---|
| 141 | რეინჯერსი | 1,5 |
| 142 | სელტიკი | 2,0 |

**დანია**
**სუპერლიგა**
**5 აპრილი (20.00)**

| | | |
|---|---|---|
| 151 | კოპენჰაგენი | 1,1 |
| 152 | ბრიონდბიუ | 3,5 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**6 აპრილი (19.15)**

| | | |
|---|---|---|
| 162 | გრასჰოპერი 1.3 | |
| 161 | ბაზელი | 2.6 |

**ჰოკეი. NHL**
**სტენლის თასი**
**7 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 201 | დეტროიტი | 4,0 |
| 202 | დალასი | 4,0 |
| 207 | ოტავა | 5,0 |
| 203 | ფილადელფია | 6,0 |
| 205 | ნიუ ჯერსი | 6,0 |
| 206 | კოლორადო | 6.5 |
| 208 | ვანკუვერი | 7,0 |
| 209 | სენტ ლუისი | 10,0 |
| 212 | ტორონტო | 10,0 |
| 210 | ტამპა ბეი | 20,0 |
| 215 | ვაშინგტონი | 20,0 |
| 211 | მინესოტა | 25,0 |
| 204 | ბოსტონი | 50,0 |
| 224 | აილენდერსი | 50,0 |
| 218 | ანაჰაიმი | 50,0 |
| 221 | ედმონტონი | 50,0 |
| 214 | ლოს ანჯელესი | 75,0 |
| 217 | მონრეალი | 75,0 |
| 222 | რეინჯერსი | 75,0 |
| 220 | ჩიკაგო | 100,0 |
| 223 | ფლორიდა | 100,0 |
| 225 | ფინიქსი | 100,0 |
| 230 | ნეშვილი | 200.0 |

**კალათბურთი**
**NBA. თასი**
**17 აპრილი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 231 | დალასი | 3,0 |
| 232 | საკრამენტო | 3,0 |
| 233 | ლეიკერსი | 3,0 |
| 236 | სან ანტონიო | 5,0 |
| 234 | ნიუ ჯერსი | 12,0 |
| 235 | ინდიანა | 12,0 |
| 237 | ფილადელფია | 15,0 |
| 238 | ბოსტონი | 30,0 |
| 241 | დეტროიტი | 12,0 |
| 242 | პორტლენდი | 12,0 |
| 244 | მინესოტა | 30,0 |
| 239 | ორლანდო | 50,0 |
| 240 | ნიუ ორლეანი | 50,0 |
| 243 | ჰიუსტონი | 50,0 |
| 247 | მილუოკი | 50,0 |
| 248 | იუტა | 50,0 |
| 246 | ფინიქსი | 75,0 |
| 250 | ვაშინგტონი | 100,0 |
| 252 | ნიუ იორკი | 200,0 |
| 256 | გოლდენ სტ. | 500,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# ფუმფულა კიმელი

## ბევრს, რა თქმა უნდა, არ სჯერა, რომ კლაისტერსი სერენას მოუგებს, მაგრამ იქნებ...



სერენა უილიამსი მეტოქეებს შეხედულებითაც აფუჭებს

AP მაიამიდან



კლაისტერსისგან ძლეული და უსასოო დოკიჩი

**NASDAQ-100 OPEN**

**კი ბისკეინი. მაგარსაფარი**

**კაცები**

**საპრიზო 3,25 მილიონი $**

**მეოთხე წრე**

**ანდრე აგასი (2, აშშ) — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 4:6, 6:3, 6:2; როჯერ ფედერერი (4, შვეიცარია) — სხენგ შალკენი (14, ჰოლანდია) 6:3, 6:2; კარლოს მოია (5, ესპანეთი) — ნიკოლა ესკუდი (საფრანგეთი) 6:4, 7:6 (10:8); ალბერტ კოსტა (9, ესპანეთი) — გილერმო კორია (26, არგენტინა) 7:5, 3:6, 6:3; პარადორნ შრიჩაფანი (13, ტაილანდი) — მარსელო რიოსი (28, ჩილე) რიოსმა თამაში ვერ შეძლო; იუნეს ელ აინაუი (19, მაროკო) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:0, 7:6 (9:7); რობი ჯინეპრი (აშშ) — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:3, 6:2; ტოდ მარტინი (აშშ) — რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) 6:3, 6:2**

მარკ ფილიპუსისამდე ნათამაშებ ორ მატჩში ანდრე აგასიმ მხოლოდ რვა გეიმი დათმო და მავანთა აზრით უფრო ძნიად არც ავსტრალიელი სკადის წინააღმდეგ უნდა გარჯილიყო.

არ გამოვიდა. ზორბა ფილიპუსისმა არად ჩააგდო ტრიბუნებზე ჩაჭედილი ხალხის ღრიალი და ტურნირის ხუთგზის ჩემპიონს უმედგრესი ბრძოლა გაუმართა. სეტის წაგებას ვინ ჩივის, ჯადო არმენოამერიკელს ლამის თვითეული ქულისთვის ოფლიანი კინკლაობა დასჭირდა.

როცა დაატყო, რომ მეტოქე ერთობ აგრესიულად იყო განწყობილი, აგასი უკანახაზზე „დამკვიდრდა“ და სკადის შემართება თანდათანი, აუღელვებელი ხათქა-ხუთქით დააცხრო.

„პირველი სეტიც არ უნდა წამეგო — ამბობდა ნამატჩევს ჯადო ანდრე — მაგრამ რამდენიმე გადამწყვეტ მომენტში ბითურად მივქარე... მომდევნო სეტებში აღარ მიჩქარია და ყველაფერი წალმა მიეწყო... მარკის წინააღმდეგ ერთი წამითაც ვერ მოდუნდები. თუკი შანსი მოგეცა, ეგრევე უნდა გამოიყენო, რადგანაც იცი — მეტი შესაძლებლობა აღარ მოგეცემა.“

მომდევნო შეხვედრას 32 წლის აგასი თავისკბილა მაროკოელთან, იუნეს ელ აინაუისთან გამართავს.

შავხუჭუჭა მაღრიბელმა იმ დღეს ეკვადორელ ლაპენტის აჯობა და გახდა პირველი მაროკოელი, ვინაც ტურნირის 19-წლოვან ისტორიაში მეოთხედფინალამდე გააღწია.

გაცნობებთ, რომ რვაგზის მესლემტიტულე არმენოამერიკელთან ელ აინაუის აქამდე სამჯერ უთამაშია და — რა დასამალია — ამდენჯერვე ძლეულა.

სხვაფრივ:

სამ საათს გასტანა შარშანდელი მეროლანგაროსე ალ კოსტასა და არგენტინელი კორიას განდაგანამ. კოსტამ იმარჯვა და 2000 წლის პარიზული მასტერსტურნირის შემდეგ პირველად გავიდა რაგინდარა სამაგარსაფრო მასტერსტურნირის მეოთხედფინალში.

კარიერის პირველ მაიამურ მეოთხედფინალს უწია თმაშევერცხლილმა ამერიკელმა ხარმა ტოდ მარტინმა, ვინაც მძლავრად გლაჯუნა ჩეხ რადეკ სტეპანეკს გაუსწორდა.

მარტინის გზა გაიარა ესპანელმა კარლოს მოიამ — წინა წლებში ტრავმებით შეურვებულმა ნიჭიერმა მეჩოგნემ, 1998 წლის მეროლანგაროსემა და მსოფლიოს ოდინდელმა მეპირველემ.

ეგებ გახსოვდეთ, შარშანდელ მაიამობაზე მოია მხოლოდ 21-ე ნომრად იყო განთესილი, წლეულს კი მას ხელთ რანგით მეხუთე ჩოგანი უპყრია და — მისი ამჟამინდელი ბურთაობის შემხვედვარე — დასტურ კაცურადაც!

შუშპარა ფრანგი ესკუდი უმკლავებო მაისურით მოკოპწიავე მოიამ იმ დღეს ჩინებული მოწოდებითა და ზუსტი, უზადო ნაუკანახაზევი ჟაპუნით მოაშთო.

მეოთხედფინალში მას 20 წლის ჯორჯიელი რობი ჯინეპრი დაეჯახება. ჯინეპრი ზედიზედ მეორე მასტერსტურნირია, უკანასკნელ რვეულში მოხვედრას ახერხებს და ამ ხნის განმავლობაში ისეთ სახელიან მეჩოგნეებს ჩაურბინა, როგორებიც მარატ საფინი (ინდიან უელსში), ალექს კორეჩა თუ ჯეიმს ბლეიკი (ორივე — მაიამიში) გახლავან.

იმ დღეს მან კორეელ ლის, წლეულს სიდნეის მოულოდნელ მატხარს მოუგო.

24-ე საამსეზონო გამარჯვება მოიხვეჭა როჯერ ფედერერმა, ვინაც შარშანდელი ფინალისტია და წლეულს კაი შაბაშად გამოიყურება.

და ბოლოს — ვინ იცის, ათასმერომელე ტურნირს გამოაკლდა ტრავმის გამო ჩილელი შამანი მარსელო რიოსი, რომლის მომნუსხველ ჩოგნაობასაც წინა წრეში ბასრი ესპანელი ხუან კარლოს ფერერო ემსხვერპლა.

ნაიმმატჩევს ტურნირის 1998 წლის ჩემპიონს ზურგის ტკივილები მისძალებია და, როგორც ექიმებმა გაარკვიეს, ამ ტკივილებს დაამება და მოსათუთება სჭირდება.

ცხადია, არა კორტზე, მაგრამ [illegible] შორს. მაიამური საჩოგნეთი ხომ ორიოდ ნაბიჯშია იმ ალაგებისგან, სადაც ნებისმიერ სალმობას ეშხიანი სირინოზები დაემტლებიან.

**ქალები**

**საპრიზო 2,96 მილიონი**

**მეოთხედფინალი**

**სერენა უილიამსი (1, აშშ) — მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) 6:1, 6:2; კიმ კლაისტერსი (3, ბელგია) — ელენა დოკიჩი (9, სერბია და ჩერნოგორია) 6:2, 6:0**

უწლოვანი მარიონ ბარტოლის შემუსვრას ქალთა ჩოგბურთის აბსოლუტურმა ჯოკერმა იმ დღეს საათზე წუთით მეტი მოანდომა. კიდევ უფრო ნაკლები დრო დასჭირდა ფუმფულა ბელგიელ კიმ კლაისტერსს, რათა ადგილობრივი ხვადებისთვის ელენა დოკიჩის საკორტო ბარაქა მოესაკლისებინა.

ახლა სერენა და კიმი ერთმანეთს ნახევარფინალში შეეხლებიან და ალბათ სწორედ მათი კეჭნაობა გამოავლენს შაბათს გასაჩემპიონებლის ვინაობას.

შეგახსენებთ, რომ უმცროს შავდასა და პიუტის ქალს ერთმანეთში რვაჯერ უპაექრიათ და მეტოქის ერთი გამარჯვების წილ სერენა შვიდ მოგებას მოიძევს.

მაგრამ კიმი წლეულს საუცხოო ფორმაშია — ექვს ტურნირზე ნაჩოგნავებმა ექვსჯერვე ნახევარფინალს უწია და — შავდათა არყოფნისას — ტიტულზარდახშა ორი ჯილდოთიც გაიმდიდრა.

ჰოდა, ახლა ყველას აინტერესებს — ბოლობოლო, გაბედავს თუ ვერა კიმი, ჩოგანი ამქრის შეუცილებელ კერპზეც აღმართოს?!



AP მაიამიდან

ისევ ის ბიჭი...
32 წლის ანდრე აგასი

# გადაცვლის სამპრასი შიბაქს ჩოგანზე?

## ნავრატილოვა ფიქრობს, რომ – არა



მარტინა ნავრატილოვამ ბევრი რამ იცის

**მარტინა ნავრატილოვამ** ბი-ბი-სისთვის მიცემული ინტერვიუში თქვა, რომ მისი აზრით შვიდგზის უიმბლდონის ჩემპიონმა პიტ სამპრასმა თავისი უკანასკნელი შეხვედრა უკვე ითამაშა.

მოგაგონებთ, რომ ყველა დროის ერთ უდიადეს მეჩოგნედ შერაცხუილი სამპრასი აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის მოგებული ფინალის შემდეგ ალარსად გამოჩენილა.

ნავრატილოვა ფიქრობს, რომ „პისტოლ პიტმა თავისი ცხოვრებისეული პრიორიტეტები ნოემბერში პირმშო ვაჟის დაბადების შემდეგ შეცვალა.“

„რომ დამენაძლევონ, დაბრუნდება თუ არა პიტი კორტზე, უეჭველ „არაზე“ დავდგები“ — ამბობს მარტინა.

„როცა ოჯახს მოეკიდები და უღელში თავს ჰყოფ, ძნელია, პარალელურად ისევ ვარჯიშზე, ომზე და კბილების ღრჭენაზე იფიქრო. განსაკუთრებით მაშინ, როცა ლამის ყველაფერი მოგიგია და ჭაბუკიც აღარ გეთქმის.“

მე-14 სლემტიტულის მოგების შემდეგ 31 წლის პიტმა გადაკვრით თქვა, რომ შეიძლება კორტი მართლაც დატოვოს.

მას შემდეგ მან ან მისმა წარმომადგენლებმა არაერთხელ დასძინეს, რომ ის მაინც ვარჯიშობს და ადრე თუ გვიან აუცილებლად დაბრუნდება.

მაგრამ თვეები გადის და პიტს ხელში ჩოგნის მაგივრად მისი ბიჭუკელას შიბაქი უჭირავს.

„ძალიან გამიკვირდება, მას ისევ კორტზე თუ დავინახავ — ამბობს მარტინა — მაგრამ არც ისე გამიგოთ, თითქოს მას უკვე აღარაფრის მაქნისად მივიჩნევდე. ცხადია, თუკი დაბრუნებას მოინდომებს, სათანადოდ მოემზადება კიდეც, თუმცა რა ვქნა, არ მჯერა და გინდაც შემეცილეთ.“

საქმეში ჩახედული ხალხის აზრით, პიტი თავისი საოჯახო მყუდროებიდან ეგებ უიმბლდონური კოინდრის ხასხასმა მაინც გამოიტყუოს.

მაგრამ ნავრატილოვა ამ ვარაუდსაც სკეპტიკურად განჩხრეკს და ამბობს, რომ ამხელა პაუზის შემდეგ მაინცდამაინც სლემტურნირის მოსაგებად მობრუნებას აზრი არა აქვს, რადგანაც გამარჯვების შანსები პრაქტიკულად ნულის ტოლი იქნება.

„ის ახლა ცხოვრებით ტკბება და არა მგონია, ისევ ამ ოფლიან და შეჭირვებულ გარემოზე ფიქრობდეს. რაც შეეხება უიმბლდონს, მისთვის მოსამზადებლად რამდენიმეთვიანი ჩოგნაობა მაინც ეგების. ხოლო პიტი რაც უფრო იგვიანებს, ალბათობა იმისა, რომ ის საუიმბლდონოდ მობრუნდება, სულ უფრო და უფრო მცირდება.“

**ლევან ძელაურაძე**



პიტ სამპრასის ბოლო, ამერიკული ტრიუმფით მიხმა ცოლმა მეუღლეზე არანაკლებ გაიხარა



ზურაბ აზმაიფარაშვილი

# ომი თუ გაგრძელდა — შაბაშ! კუ-კუ კრამნიკისგან

*ერაყში მიმდინარე ომმა ევროპის ქალთა ჩემპიონატის დაწყება ორი თვით რომ გადასწია, ეს უკვე გამცნეთ. ამ და სხვა საჭადრაკო მოვლენებზე თავად ფიდეს ვიცე-პრეზიდენტ ზურაბ აზმაიფარაშვილს გავესაუბრეთ*

— მოგეხსენებათ, ომმა გარკვეულწილად თურქეთზეც იმოქმედა. ტურნირის ორგანიზატორებისგანპრობლემები არავის გასჩენია, ამასთან ანთალია საკმაოდ შორსაა საომარი მოქმედების არეალისგან, თუმცა ევროპელ მოჭადრაკეთა უმრავლესობამ მაინც სახიფათოდ ჩათვალა ამ ქვეყანაში სტუმრობა. ასეთ პირობებში კი ჩემპიონატი თავის ხიბლს დაკარგავდა და მხოლოდ აღმოსავლური ტურნირი გამოვიდოდა. თურქეთის ჭადრაკის ფედერაციამაც გადატანა ამჯობინა. თურქები დაუკავშირდნენ ევროპის საჭადრაკო კავშირს და მოჭადრაკეებს, რომელნიც დაყაბულდნენ მათ წინადადებას. ტურნირი 29 მაისს სტამბოლში გაიმართება, ვაჟთა ჩემპიონატის პარალელურად.

**— თავდაპირველად ევროპის ვაჟთა ჩემპიონატს მასპინძლად საბერძნეთს ამბობდნენ.**

— თავიდან მართლაც ასე გადაწყდა, მაგრამ ბერძნებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ და ვაჟთა ჩემპიონატის მასპინძლობაც თურქეთმა ითავა.

**— ჩემპიონატის მონაწილეებმა გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე შეუკვეთეს ბილეთები და სასტუმროს ნომრები. ამ ცვლილებით ალბათ მათაც იზარალეს...**

— თუ ომი გაგრძელდა, ჩემპიონატები ალბათ მაისშიც ჩაიშლება და, ვინ იცის, საერთოდ სპორტისთვის ვინ მოიცალოს.

**— ამ ჩემპიონატისთვის რა პრინციპით შეირჩნენ მოჭადრაკეები?**

— განსაკუთრებული შეზღუდვები არ ყოფილა, ქვეყნები რამდენსაც შეძლებენ, იმდენ მოჭადრაკეს გამოუშვებენ.

**— ქალთა ჩემპიონატი სულ ოთხი წელია, ტარდება. პირველი 2000 წელს საქართველოში გაიმართა.**

— ევროპის ქალთა ჩემპიონატი პირველად ჩვენ ჩავატარეთ. ეს იყო უნიკალური ტურნირი და მასში კონტინენტის 32 უძლიერესი ქალი მონაწილეობდა, საბოლოოდ კი ჩემპიონი ნატალია ჟუკოვა გახდა. ეგაა, კომერციულად ეს ტურნირი წამგებიანი გამოდგა, ხარჯები ორგანიზატორებმა გაიღეს.

**— რამდენიმეწლიანი კონფლიქტის შემდეგ კასპაროვი კვლავ დაუბრუნდა ფიდეს და წლეულს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლებს.**

— კასპაროვი თამაშს ნახევარფინალში პონომარიოვთან მატჩით იწყებს და გამარჯვების შემთხვევაში, ფინალს ლეკო-კრამნიკს შორის მჯობნთან ითამაშებს, თუმცა ამ უკანასკნელთა შეხვედრა ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის.

**— აქამდე რით ვერ მოხერხდა მათი შეხვედრის ორგანიზება?**

— კრამნიკ-ლეკოს მატჩის მთავარი პრობლემა ის არის, რომ მათ სპონსორი არ ჰყავთ. ლინარესის სუპერტურნირზე მათი წარმატებული გამოსვლის შემდეგაც არავინ დაინტერესებულა ამ მატჩით. თანაც კრამნიკი სერიოზულად არც ჩართულა ამ პროცესში. მისგან განსხვავებით, ტურნირის ორგანიზებაზე საკმაოდ აქტიურად მუშაობს კასპაროვი. ამასთან, კასპაროვი ერთგვარად შიშობს, რომ კრამნიკს გაერთიანება საერთოდ არ სურს.

**— ლეკოც კრამნიკის აზრისაა?**

— არა, პირიქით. ლეკო ძალიან მონდომებულია, რომ ეს მატჩი ითამაშოს და დახმარებისთვის ფიდეს პრეზიდენტ კირსან ილუმჟინოვსაც მიმართა.

**— თუ მაინც ვერ დაიყოლიეს კრამნიკი?**

— მაშინ მსოფლიოს ჩემპიონს ავტომატურად გამოავლენს კასპაროვ-პონომარიოვის შეხვედრა.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ბრმების სკოლაა? დიახ!

**მონტე კარლოში** გახურებული ბობოლა ტურნირის მეცხრე ტურის ყველაზე საინტერესო მატჩად ინდუს ვიშვანათან ანანდსა და უნგრელ ზოლტან ალმაშს შორის დაფაზე დაუხედავი პარტია იქცა, რომელიც ამ ტურში ყველაზე უხვსვლიანი (93) გამოდგა. მეტოქეები დებიუტშივე ეკვეთნენ ერთმანეთს, ინდო მეტად აქტიურობდა. მან უკვე მერვე სვლაზე გაუცვალა ლაზიერი მოწინააღმდეგეს. ამის შემდეგ პარტია მსუბუქი ფიგურებით გაგრძელდა და ახლა მათი ხოცვა-ჟლეტა გაჩაღდა. ალმაშმა შეუტია, ინდუსმა კი თავდასაცავად ორი დარჩენილი მძიმე ფიგურა (ეტლები) მოიშველია. პარტია ნერვების თამაშს დაემსგავსა. ალმაში მოქიშპე მეფეს საკუთარი ეტლით დასდევდა და წარამარა ემუქრებოდა. ახალგაზრდა უნგრელი იქნებ ყაიმსაც იკმარებდა, თუმცა ინდოელი ასე არ ფიქრობდა, მეტოქისგან განსხვავებით უფრო საზრიანად ითამაშა და პაიკიანი უპირატესობა მოიპოვა. ბოლოს კი ორი პაიკი მეტოქის „ლელოსკენ" გააქანა. ალმაშმა რომ შეატყო, ველარაფერს გავხდებიო, დანებდა.

ბლიცპარტიაში ანანდმა თავიდანვე ფიგურების გაცვლა დაიწყო და მე-20 სვლაზე მეტოქე ყაიმზე დაიყოლია. ამ შედეგებით ანანდმა ლიდერობა შეინარჩუნა. სამაგიეროდ, მისი უახლოესი მდევრები შეიცვალნენ. ტოპალოვმა და ლეკომ ორ-ორი გამარჯვებით მეორე-მესამე ადგილებზე აინაცვლეს.

ალექსეი შიროვი ბოლო ტურებში მოვიდა იმტაზე და პარტიას პარტიაზე იგებს. ამჯერად მისი მსხვერპლი 1993 წელს ამ ტურნირის მომგები ჭარმაგი დიდოსტატი ლუბოევიჩი შეიქნა.

წარუმატებელი წინა ტურის შემდეგ „ბრმა" პარტია მოიგო კრამნიკმა და თვალახვეულთა ცხრილში ლიდერობა დაიბრუნა. წინ კიდევ ორი ტურია დარჩენილი.

**ლაშა გეგეჭკორი**



# ლევან ცაბაძეს საქმე და სატკივარი გაურთულდა



**გადაწყვეტილი ამბავია,** საქართველოს ნაკრების მორკინალი და გამწევი ძალა ლევან ცაბაძე რუმინეთთან ვერ ითამაშებს. „ლეონსიოს" მუხლში წყალი უდგას, რაც ძველმა სატკივარმა, საზარდულის თიაქარმა გამოიწვია. მცირე იმედი კი იყო, მაგრამ ცაბაძის მუხლში წყალი ვერ გაიწოვა და ექიმებმა მორაგბეს თამაში აუკრძალეს.

„ძალიან კი მინდოდა, მაგრამ ვერ ვითამაშებ. გუშინდელი ვარჯიშისას მუხლი ამტკივდა და ექიმებს გავესინჯე. თურმე ფიბროზი მაქვს და დროზე თუ არ მივხედე, შეიძლება, ქრონიკულში გადაიზარდოს და ძალიან გართულდეს. ხვალ ალბათ უკან, მონფერანში გავემგზავრები. მირჩევნია, ისევ ფრანგ ქირურგებს მივმართო" — გვითხრა გუშინ დამწუხრებულმა ცაბაძემ.

ლევანის თქმით, ქართველი დასტაქრები გადაჭრით ვერ ამბობენ, რამდენ ხანს მოუწევს იძულებითი უქმობა. ყველაფერი მაშინ გაირკვევა, როცა ბორჯღალოსანთა მორკინალის მუხლს ფრანგი ექიმები ნახავენ. გამორიცხული არაა, ცაბაძეს ოპერაცია დასჭირდეს და ორი თვე ვერც კი ივარჯიშოს.

**ბაჩო სვანიძე**



# მსაჯს არაფერი გაასწორებს

## ქართველების სახსენებელი ყინულზე

**მსოფლიოს ჩემპიონატის** მეორე დღეს ვაშინგტონის MCI ცენტრში მარტოხელა კაცებმა მოკლე პროგრამაში ისრიალეს, მოცეკვავე წყვილებმა კი კვალიფიკაცია გაიარეს.

ვახტანგ მურვანიძემ, რომელიც საკვალიფიკაციო ქულებით მე-17 გახლდათ, ამჯერად უფრო ცუდად ისრიალა თუ სხვები იყვნენ უკეთესები, ოდენ მეცხრამეტეა.



ირინა ლობაჩოვა და ილია ავერბუხი

REUTERS ვაშინგტონიდან

ლიდერი, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსი ევგენი პლუშჩენკო გახლავთ, რომელმაც რამდენჯერმე ტაში დასტყუა მაყურებლებს, სამაგიეროდ კი ჰაეროვანი კოცნები გაუგზავნა. არადა, შარშანწინდელ მსოფლიოს ჩემპიონს ერთი ტკივილიანი ამბავიც შეემთხვა, ჯერ კიდევ სასრიალოდ გასვლამდე მარცხენა მუხლმა შეაწუხა და ამის გამო ორმაგად დასაფასებელია მისი სრიალი და უშეცდომოდ შესრულებული ბევრმაგი ბრუნები. მოგვიანებით პლუშჩენკოს მწვრთნელისთვის უთქვამს, ახლა კი გავუძელი, მაგრამ თავისუფალი პროგრამისას ნემსები თუ არ დამარჭეთ, ტკივილს ვერ გავუძლებ და ჩავფლავდებიო.

ერთი ჩაფლავებული ფავორიტი კი უკვე გვყავს. იქაურთა ჯილა, ვაშინგტონელი მაიკლ ვაისი, ვინაც კვალიფიკაციის მერე თანალიდერი იყო, მოკლე პროგრამის მერე ოდენ მეხუთეა და ახლა სასწაული უნდა მოხდეს, ოქროს რომ შესწვდეს. არადა, ვაისმა პროგრამა ისე დაიწყო, ეგებ პლუშჩენკოზე წინაც დაესრულებინა, მაგრამ სულ ბოლოს უბრალო სამმაგ ბრუნში უხეში შეცდომა დაუშვა და აგერ, სადამდე დაეშვა. ეს რა სისულელე დამემართაო, წუხდა მსოფლიოს ოდინდელი ბრინჯაოსანი, მაგრამ ახლა რაღას გააწყობს.

ვაისის წაფორხილებით ისარგებლა და მეორე ადგილს ჩაებღაუჭა შარშანდელი მეორეადგილოსანი ამერიკელი ტიმოთი გოებელი. ამასთანავე, სათქმელია, რომ ერთმა მსაჯმა ის პლუშჩენკოზე წინაც დააყენა.

საერთოდ კი, მსაჯობა კვლავაც რჩება ცალკე სალაპარაკო თემად. მოგეხსენებათ, სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიური სკანდალის მერე მსაჯებს ალმაცერად უყურებენ. გუშინ კი, აი, რა მოხდა: კანადელ ემანუელ სანდუს, რომელიც საერთო ჩათვლაში მეათეა, ერთმა მსაჯმა სამეორეადგილო ქულა დაუწერა, ჰოდა, მოდი ახლა და იბჭე: ამ მსაჯს კანადელის შეცდომები უბრალოდ გამოეპარა თუ მოქრთამული იყო. თუმცა, ფიგურულად მოსრიალეთა ფედერაციის ახალი წესით, ბჭობას აზრი აღარ აქვს, რადგან, გუშინაც ვწერდით, ამიერიდან მსაჯები ანონიმურად წერენ ქულებს და ნახსენები მსაჯის ვინაობას ვერავინ შეიტყობს.

მესამე ადგილზეა იაპონელი ტაკეში ჰონდა, რომელსაც ავტომრბოლობა უფრო მოუხდებოდა, თუმცა, მაინც ყოჩაღ — ჰონდამ მტკივანი კოჭით ისრიალა.

თავში ვახტანგ მურვანიძე ვახსენეთ და საქართველოს წარგზავნილებმა წყვილადაც იცეკვეს. ოღონდ ეგაა, საამაყოს ვერაფერს გამორჩნენ. ტატიანა სინიავერმა და თორნიკე ტუკვაძემ 29 წყვილში ოდენ ლიტველებს აჯობეს. თუმცა, მეორე მხრივ, ფიგურსასრიალო მსოფლიოს ჩემპიონატზე ქართველთა მონაწილეობა უკვე შედეგია.

ხოლო მათგან, ვინც ოდენ მონაწილეობას არ ყაბულდება და სულ სხვა შედეგს უმიზნებს, კვალიფიკაციის შემდეგ რუსები, ირინა ლობაჩოვა და ილია ავერბუხი და კანადელები, ბერნ შაელინი და ვიქტორ კრააცი ლიდერობენ. სახელგანთქმული რუსები ვაშინგტონში მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტულით ჩავიდნენ, კანადელები კი თავისი ქვეყნისთვის ამ სახეობაში პირველი ოქროს მოხვეჭას ლამობენ.

ჩემპიონატის განრიგი კი ასეთია: დღეს შეჯიბრებას ქალები იწყებენ და ამერიკელებს უპირველესად მათი იმედი აქვთ — მიშელ კვანის, სარა ჰიუზის და საშა კოენისა. დღესვე სპორტულ წყვილებში რუსები, ტატიანა ტოტმიანინა და მაქსიმ მარინინი საჩემპიონოდ შეერკინებიან ჩინელებს, შენ ხუეს და ზაო ჰონგბოს.

**თეიმურაზ უშაკოვი**



ემანუელ სანდუს წაქცევა მსაჯთაგან ერთმა სულაც ვერ დაინახა

REUTERS ვაშინგტონიდან



## რეგულარული ჩემპიონატი

# ცივ-ცხელი ამბები

## სტვენით დაკოდილი, კურკას მესამე ქორწილი და პასი ტელევიზორით



REUTERS ფოტო

კაროლინელ ტომაშ კურკას გოლი ტორონტოელი ტრევორ კიდის კარში

— 25 მარტი —

**ვანკუვერი 3:4 დალასი** *1:0 0:2 2:2*

**1:0 მორისონი (20), 1:1 არნოტი (27), 1:2 ზუბოვი (36), 1:3 იანგი (44), 2:3 ნესლუნდი (45), 3:3 ბერტუცი (53), 3:4 იანგი (56)**

დასავლური დივიზიონის ორი ლიდერის ბედი მსაჯთა საეჭვო ჩასტვენამ გადაწყვიტა. დალასელ დერიან ჰეჩერის არცთუ ხუთვა ილეთის შემდეგ ვანკუვერის კაპიტანი მარკუს ნესლუნდი ყინულზე აღმოჩნდა, მისი პარტნიორი ტრევორ ლინდენი კი ჰეჩერს შეეკრკინა და მოულოდნელად მსაჯებმა მხოლოდ იგი გააძევეს. დალასსაც მეტი რა უნდოდა, რიცხვმრავლობაში გადამწყვეტი გოლი შეაგდო. ნესლუნდმა მანამდე მოაგროვა 3(1+2) ქულა და ახლა 99 ქულით ბომბარდირებში მყარად ლიდერობს.

**ოტავა 2:2 კოლორადო** *0:0 1:1 1:1 0:0*

**1:0 პავლატი (22), 1:1 ბლეიკი (38), 2:1 ვარადა (60), 2:2 ტანგეი (60)**

დღის კიდევ ერთ მთავარ მატჩში მთავარი ამბები ძირითადი დროის ბოლო წუთზე მოხდა. ვაცლავ ვარადამ მასპინძლები კი დააწინაურა, მაგრამ კოლორადომაც მოასწრო საპასუხო შეტევა და პეტერ ფორსბერგის დიდოსტატური პასის შემდეგ ალექს ტანგეიმ საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

**ლოს ანჯელესი 1:2 კოლუმბუსი**

*0:0 1:0 0:1 0:1*

**1:0 მოდრი (29), 1:1 შპაჩეკი (43), 1:2 კესელსი (65)**

**კაროლინა 3:3 ტორონტო**

*0:2 2:0 1:1 0:0*

**0:1 სუნდინი (4), 0:2 მოგილნი (9), 1:2 კურკა (25), 2:2 უორდი (39), 2:3 ნოლანი (49), 3:3 ონილი (60)**

ასეც ხდება. საინფორმაციო სააგენტოებისა და ინტერნეტსაიტების უმრავლესობამ კაროლინას პირველი გოლის ავტორის ვინაობა ვერ დააზუსტა და „უცნობი" — ასე მოიხსენიეს იგი. როგორც გავარკვიეთ, იგი ტომაშ კურკა გახლდათ. ჩეხმა ახლახან დაიწყო ლიგაში თამაში, მაგრამ ეს მისი მე-3 გოლია.

**მონრეალი 3:4 ვაშინგტონი**

*1:0 0:0 2:3 0:1*

**1:0 კოლგერი (19), 1:1 ლანგი (43), 2:1 ზედნიკი (46), 2:2 ზუბრუსი (48), 3:2 ოდეტი (51), 3:3 ბერეზინი (57), 3:4 ბუმედიენი (64)**

იოზეფ ბუმედიენს თავისი პირველი ნჰლ-ური გოლი ტელევიზორის დახმარებით გაუტანია. არ გჯერათ? თავადვე აღიარა: „ისე ხშირად ვუყურებდი იაგრის თამაშს ტელევიზორით, რომ იმ მომენტში უკვე ვიცოდი, სად მომაწვდიდა შაიბას. ამიტომაც გოლის გატანა არ გამჭირვებია" — თქვა მატჩის შემდეგ დებიუტანტმა.

**დეტროიტი 4:0 მინესოტა** *1:0 1:0 2:0*

**1:0 ლარიონოვი (2), 2:0 ფიოდოროვი (22), 3:0 ზეტერბერგი (41), 4:0 ჰოლმსტრომი (51)**

დეტროიტი წყენას არ ივიწყებს. შაბათს მინესოტამ ჩემპიონს 4:0 მოუგო და წაუგებელი სერია შეაწყვეტინა. რევანში იმავე ანგარიშით შედგა.

**ნეშვილი 1:1 ფილადელფია**

*0:0 0:0 1:1 0:0*

**0:1 ჰანდზუში (52), 1:1 იტონი (59)**

**ჩიკაგო 2:9 აილენდერსი** *0:4 2:1 0:4*

**0:1 პერიში (2), 0:2 იაშინი (3), 0:3 პეპინო (7), 0:4 იაშინი (20), 0:5 კვაშა (24), 1:5 რადულოვი (28), 2:5 რადულოვი (28), 2:6 იაშინი (43), 2:7 იაშინი (43), 2:8 სკაჩარდი (43), 2:9 ეშამი (54)**

ნირწამხდარი „ქორები" ბოლო მატჩებში ქულებს არიგებენ და არც ამჯერად გაუწევიათ წინააღმდეგობა მეტოქისთვის. სტუმრებსაც მეტი რა უნდოდათ. ალექსეი იაშინმა პოკერი პირველად შეასრულა, მესამე პერიოდში კი აილენდერსმა 36 წამის გამნავლობაში სამჯერ გაიტანა.

**სამველ ლარიბიანი**

# ლაქია, ლაქია!

## უეინ გრეცკიმ პოლიტიკაში გაისრიალა და ძალიანაც ინანა



**უეინ გრეცკის** აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის მხარდაჭერა ძვირად დაუჯდა. ამ კვირის დამდეგს დიადმა ჰოკეისტმა და ამჟამად ფინიქსის მფლობელმა გრეცკიმ ბუშს დიდი ლიდერი უწოდა და განაცხადა, რომ მის პოლიტიკას უყოყმანოდ უჭერს მხარს. ცხადია, ამერიკელები მისმა განცხადებამ აღაფრთოვანა, მაგრამ... ერაყის ომისადმი კანადის დამოკიდებულება მოგეხსენებათ. ხამშაბათს ედმონტონში „სქაირიჩ სენტრთან" მდგარ გრეცკის ქანდაკებაზე ასეთი საწყენი წარწერა გაჩნდა: „აშშ-ს ლაქია". გრეცკის მით უფრო ეტკინებოდა გული, რომ, მართალია, ბუშს დაუჭირა მხარი, მაგრამ კანადის მთავრობის პოზიციასაც გაგებით მოეკიდა. „კანადის მთავრობა ზრუნავს თავის ხალხზე და ომში კანადელთა მონაწილეობას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს" — თქვა „დიადმა".

## რაგბი

# რა მინდა მირუსძალაქში?!

## ყველა უბედურება ჰონკონგში ჩნდება

**დღეს** დედამიწაზე მოგზაურობა მარტო ერაყის ომის და ტერორისტთა არასასურველი ყურადღების არეალში მოხვედრის გამო როდია სახიფათო. მსხვილი ავიაკომპანიები ლამისაა გაკოტრდნენ, წვრილები უკვე გაკოტრდნენ. ცოცხალი ტვირთის გადამზიდავ, ტურისტულ კომპანიებს და რაღა თქმა უნდა ცალკეულ ადამიანებს სხვა მხრიდანაც შემოუტია საფრთხემ. ეს სასიკვდილო ვირუსია, რომელიც ჩვენი ლაჟვარდოვანი პლანეტის სულ სხვა და სხვა კუთხეებში იფეთქებს, მაგრამ მისი წარმოშობის ადგილად სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია, უფრო კონკრეტულად კი ჩინური ქალაქი ჰონკონგი სახელდება, რაკი მუხთალმა ვირუსმა იქ ყველაზე მეტი ადამიანი წაიქცია.

ვირუსმა, რომელსაც არატიპიურ პნევმონიას ეძახიან და ჯერაც ვერ წამლობენ, უკვე 23 ადამიანი იმსხვერპლა, აქედან 11 ჰონკონგის მცხოვრებია. საღეისოდ მსოფლიოში აღრიცხულია 265 დაავადებული.

ამ ბედშავი ხალხის ხვედრის გაზიარების შიშმა ბევრ ტურისტს აალებინა ხელი ჰონკონგში სტუმრობაზე, არადა ამ რამდენიმე დღეში იქ დიდი სარაგბო ტურნირი, ჰონკონგის შვიდკაცა იწყება. მაყურებელს ვინ ჩივის, ორგანიზატორებს ის გაუხდათ თავშისაცემი, რომ ტურნირის მონაწილე გუნდები უარობენ ჩასვლას იქ, სადაც სპორტული ატმოსფერო კი არა, შიში და ძრწოლა მეფობს.

ტურნირში მონაწილეობაზე რამდენიმე დღის წინ თქვეს უარი საფრანგეთის და იტალიის შვიდკაცაათა ნაკრებებმა. „პრანჭია" ევროპელებს ტურნირში უფრო გაჭირვებაგამძლე ქვეყნები, ნამიბია და ტონგა შეცვლიან. მაგრამ როდესაც უკვე არგენტინამაც იუარა ჰონ კონგში გამგზავრება, ტურნირის ორგანიზატორები საგონებელში ჩავარდნენ.

„რაღა დაგიმალოთ, და ძალიან დაგვწყვიტა გული ამ ქვეყნების გუნდების ჩამოუსვლელობამ" — ამბობს ტურნირის ერთ-ერთი ორგანიზატორი. ჰონკონგელებმა არგენტინელთა უარის შემდეგ რაგბის საერთაშორისო საბჭოს მიმართეს, შემცვლელი გვაპოვნინეთო. ჰონკონგის ტურნირი ისე „გემრიელი" რამაა, ბარე ბევრი არ იტყოდა უარს იქ მონაწილეობაზე, მაგრამ ეს წყეული ვირუსი...

**ძოტე ყორშია**



## NBA რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS ფოტო

მაიკლ ჯორდანისთვის ბონზი ველსისთანა მეტოქის მოტყუება ისეც იოლია

# ყველაფერი წარმავალია

## მაიამის აწმყო მომავალია

— 25 მარტი —

**მინესოტა 108:91 მაიამი**

მინესოტა: **ჰადსონი (17), პილერი (6), შჩერბიაკი (26), გარნეტი (26), სმიტი (9); ჯეკსონი (10), ტრენტი (10), გილი (2), ვაილქსი (2), ვუდსი**

მაიამი: **კარტერი (6 ქულა, 15 პასი), რ. ბატლერი (6), კ. ბატლერი (21), ელისი (13), გრანტი (10); ალენი (11), ჰაუსი (11), სტეფანია (18 წუთი, 7 ქულა, 2 მოხსნა, 2 დაფარება), ბესტი (6), ჯეიმსი, ჯონსონი, ლემბლი**

**პორტლენდი 91:95 ვაშინგტონი**

პორტლენდი: **ველსი (20), ვოლესი (16)**

ვაშინგტონი: **ჯორდანი (25)**

**კლივლენდი 124:103 გოლდენ სტეიტი**

კლივლენდი: **დევისი (28)**

გოლდენ სტეიტი: **ჯემისონი (23)**

**სან ანტონიო 107:94 მილუოკი**

სან ანტონიო: **დანკანი (31)**

მილუოკი: **კასელი (19), მეისონი (17)**

**ატლანტა 91:108 ლეიკერსი**

ატლანტა: **რობინსონი (22)**

ლეიკერსი: **ბრაიანტი (28), ონილი (31)**

„მინესოტა" მეტ წინააღმდეგობას მოელოდა „მაიამი ჰითისგან". „ასეთ მეტოქესთან თამაში ყოველთვის სახიფათოა. ისინი ვერ ხვდებიან პლეი ოფში და თავისუფლები არიან ყოველგვარი ზეწოლისგან. გამოდიან მოედანზე და სისხლს უშრობენ მათ, ვისთვისაც ყოველი წაგება დიდი დანაკარგია. ამიტომაც ვფიქრობდით, „მაიამისთან" დღეს გაგვიჭირდებოდა. ყველაფერი კი გაცილებით იოლად აეწყო" — ნამატჩევს კმაყოფილი ჩანდა „მინესოტას" მწვრთნელი ფილიპ სანდერსი.

„მაიამისგან" განსხვავებით, „მინესოტას" ძალიან სჭირდება გამარჯვებები და შეუძლია კიდეც მათი მოპოვება. ეგაა, იმ საღამოს, მოთამაშეებს ზედმეტი ჯაფის გაწევა არ სურდათ. გაუმართლათ ამ მხრივ, „მაიამი" მხოლოდ ცოდვილობდა და თავიდანვე ჩამორჩა „მინესოტას", რომელიც თავადაც ცალი ხელით თამაშობდა. „მგლების" წინამძღოლმა კევინ გარნეტმა ამ ჯერზე მუშაობა არ ინება და მხოლოდ თამაშით შეიქცია თავი. შედეგად 26 ქულა მოიხვეჭა და ოდენ რვა მოხსნა გამოიმუშავა. არადა, მანამდე ის ზედიზედ 19 თამაშში აკეთებდა 10 და მეტ მოხსნას.

„მაიამის" თამაშებმა რა ხანია, დაკარგა ინტერესი ფართო საზოგადოებისთვის. ვლადიმერ სტეფანიას გუნდი ახლა გათვლებს მომავლისთვის აკეთებს. ასე რომ, მისი დღევანდელი ყოფა მასშტაბურ ინტერესს არ იწვევს. სამაგიეროდ, კალათბურთი ჩქეფს ისეთი გუნდების თამაშებზე, რომლებსაც აწმყო გააჩნიათ და მისთვის იბრძვიან.

იბრძვის მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონ ვიზარდსი". დედაქალაქური გუნდი სადღეისოდ მეცხრეა აღმოსავლეთში და მიზნად ერთი საფეხურით წინსვლა და ამით პლეი ოფში მოხვედრა დაუსახავს. ამდენად ყველა გამარჯვება ოქროდ უღირს. 25 მარტს ჯორდანი და მისი რაზმი ძლიერ „პორტლენდს" ესტუმრა და მოულოდნელად გაიმარჯვა. თავად ჯორდანმა 25 ქულა უთავაზა „პორტლენდს" და კმაყოფილიც უნდა დარჩენილიყო ამ მატჩით, მაგრამ სრულ კმაყოფილებამდე ჯორდანს ერთ რამ დააკლდა, ძველ, ჩიკაგოსდროინდელ აწ კი პორტლენდელ ძმაკაცს სკოტი პიპენს ვერ შეება. პიპენმა ამას წინათ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ახლა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი სათადარიგოთა სკამიდან უყურებდა, როგორ ატერორებდა 40 წლის მეგობარი მის გუნდს. ჯორდანს და პიპენს მართლაც აქვთ გულდასაწყვეტი, ვინაიდან ჯორდანი ამ სეზონის შემდეგ კალათბურთიდან მიდის და ის ამიერიდან აღარასოდეს შეხვდება მოედანზე პიპენს.

**ძოტე ყორშია**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დეტროიტი | 44 | 25 | 63,8 |
| ნიუ ჯერსი | 42 | 28 | 60,0 |
| ფილადელფია | 41 | 28 | 59,4 |
| ინდიანა | 41 | 29 | 58,6 |
| ნიუ ორლეანი | 40 | 31 | 56,3 |
| ბოსტონი | 38 | 33 | 53,5 |
| ორლანდო | 37 | 34 | 52,1 |
| მილუოკი | 34 | 37 | 47,9 |
| ვაშინგტონი | 33 | 37 | 47,1 |
| ნიუ იორკი | 32 | 39 | 45,1 |
| ატლანტა | 29 | 43 | 40,3 |
| ჩიკაგო | 25 | 46 | 35,2 |
| მაიამი | 22 | 49 | 31,0 |
| ტორონტო | 21 | 48 | 30,4 |
| კლივლენდი | 14 | 56 | 20,0 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| დალასი | 53 | 17 | 75,7 |
| საკრამენტო | 50 | 21 | 70,4 |
| სან ანტონიო | 50 | 20 | 71,4 |
| მინესოტა | 46 | 26 | 63,9 |
| პორტლენდი | 44 | 26 | 62,9 |
| იუტა | 41 | 29 | 58,6 |
| ლეიკერსი | 40 | 30 | 57,1 |
| ჰიუსტონი | 37 | 33 | 52,9 |
| ფინიქსი | 36 | 34 | 51,4 |
| გოლდენ სტეიტი | 34 | 37 | 47,9 |
| სიეტლი | 33 | 36 | 47,8 |
| მემფისი | 26 | 44 | 37,1 |
| კლიპერსი | 22 | 48 | 31,4 |
| დენვერი | 15 | 56 | 21,1 |

*დალასი და საკრამენტო გავიდნენ პლეი ოფში*

*დრაჟენ ბრაიკოვიჩი ნაკრების თავკაცის სავარძელს ჯერ ხეირიანად არც მორგებოდა, რომ სხვა გუნდის გაძღოლა შესთავაზეს... ხორვატმა მწვრთნელმა გუშინწინ „სარბიელს" უთხრა: თუ რომელიმე აქაური კლუბი მისაღებ პირობებს შემომთავაზებს, დავთანხმდებიო. ამ სიტყვებიდან რამდენიმე საათში ის უკვე „დინამოს" მთავარი მწვრთნელი გახდა. გუშინ კი თბილისური კლუბის ხელმძღვანელობამ ბრაიკოვიჩი საკუთარ ბაზაზე მედიას წარუდგინა.*

# დინამიური მომენტი

## ნაკრების მწვრთნელი დინამომ დანიშნა





**ნაკრების ახალი თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩი უკვე „დინამოს" მწვრთნელიცაა**

**ბაჩო სხირელი,** *„დინამოს" პრეზიდენტი:* დრაჟენ ბრაიკოვიჩის „დინამოს" მწვრთნელად დანიშვნა გუშინ გადაწყდა. პირობები შევათანხმეთ და წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გავაფორმეთ. ალბათ გაინტერესებთ ჩვენი ყოფილი მწვრთნელის, ლევან მოსეშვილის ბედი, ის გუნდში, დარჩება, როგორც კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. მოსეშვილი მიესალმება ჩვენი გუნდის კიდევ უფრო გაძლიერებასა და „დინამოს" ნაკრების საბაზო გუნდად ქცევას, რაც, ვფიქრობ, ბრაიკოვიჩის ჩვენთან მოსვლით უნდა განხორციელდეს. „დინამოს" მწვრთნელად ბრაიკოვიჩის დანიშვნა ჩვენი კლუბისა და კალათბურთის ფედერაციის ორმხრივი ინიციატივის საფუძველზე მოხდა.

*პრესკონფერენციას ესწრებოდა ფედერაციის გენერალური მდივანი* **მერაბ რატიშვილი,** *რომელმაც თავისი პოზიცია დააფიქსირა* — ეს ნაბიჯი სასარგებლო იქნება როგორც „დინამოსთვის", ასევე ეროვნული ნაკრებისთვისაც. რა დიდი მტკიცება უნდა იმას, რომ ქართულ კლუბში ბრაიკოვიჩის მუშაობა ნაკრებსაც გამოადგება. თან მან ჩვენი ჩემპიონატის წამყვანი კლუბი ჩაიბარა, სადაც ნაკრების არაერთი კანდიდატი თამაშობს. ბრაიკოვიჩი ქართულ კალათბურთში მიმდინარე პროცესებში თავიდან ბოლომდე ჩაერთვება. იგი სხვა კლუბების მოთამაშეებსაც უკეთ დააკვირდება და ნაკრებისთვის ოპტიმალურ კანდიდატებს შეარჩევს.

**დრაჟენ ბრაიკოვიჩი** *გუშინ უკვე „დინამოს" თავკაცის ამპლუაში ესაუბრა ჟურნალისტებს:* ქართულ კლუბში მუშაობა ერთიორად აამაღლებს ეროვნულ გუნდში ჩემი საქმიანობის ნაყოფიერებას, „დინამოს" მწვრთნელობა არაფერში შემიშლის ხელს, პირიქით, ხელის გულზე მეყოლებიან ნაკრების კანდიდატები.

**— „დინამოზე" რა გსმენოდათ?**

— ვიცი, რომ ამ გუნდს დიდი ტრადიციები აქვს. წარმატებისთვისაც მიგიღწევიათ ევროასპარეზზე, მაგრამ ეს წარსულია, ახლა სხვა ვითარებაა. რაც შეეხება თქვენს ქვეყანას, ის მდიდარია ნიჭიერი მოთამაშებით, არაერთი მაღალი დონის ლეგიონერი გყავთ და საქართველოს ნაკრებიც საკმაოდ პერსპექტიულია.

**— „დინამოს" პერსპექტივაზე რას იტყვით?**

— ჯერჯერობით რასაც ვხედავ, ყველაფერი მომწონს ამ გუნდში. მოთამაშეებზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, ბაზა კი დიდებულია. ასეთი პირობები ხორვატიაში ერთ-ორ გუნდს თუ აქვს. კარგი პირობები „დინამოს" წარმატებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

**— ითქვა, რომ „დინამო" ნაკრების საბაზო გუნდი იქნება. ახლა მას 4 ლეგიონერი ჰყავს. უცხოელთა ჩამოყვანას დინამოელები მუდამ ეშურებოდნენ. ეს მომენტი ხელს შეუშლის თქვენი კლუბის ნაკრების საბაზო გუნდად ქცევას?**

— რა თქმა უნდა. თუ მოთამაშეთა უმრავლესობა უცხოელები იქნებიან, რანაირი საბაზო გუნდი ვიქნებით? თუმც ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ლეგიონერებზე უარს ვიტყვი. ერთი-ორი უცხოელი აუცილებელია, ოღონდ ისინი ორი თავით მაღლა უნდა იდგნენ აქაურებზე. ჯერ ეს სეზონია ჩასამთავრებელი და სატრანსფერო საკითხებზე მერე ვიფიქრებ.

**— ხორვატი კალათბურთელების ჩამოყვანას ხომ არ გეგმავთ?**

— „დინამოში" ხორვატებიც შეიძლება ჩამოვიდნენ და ნებისმიერი სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც, მთავარია, გუნდი გააძლიერონ.

**— „დინამოში" ვინ იქნება თქვენი მეორე მწვრთნელი, ნაკრებში თქვენი დამხმარე ზურაბ ტომარაძე ხომ არა?**

— აქ არავის ვიცნობ და თანაშემწედ ვის ავიყვან, არც ეს ვიცი. ისე კი, გუნდმა გზა გამიხსნა, ჩემი არჩევანის მიხედვით მოხდება მეორე მწვრთნელის, თუ საჭირო გახდა, მესამეს დანიშვნაც. ჯერჯერობით, სანამ ყველაფერს ავწონ-დავწონი, მეორე მწვრთნელად ისევ ვაჟა მხეიძე იმუშავებს. ხვალ აზერბაიჯანულ „გალას" ამხანაგურად ვეთამაშებით და გუნდს მხეიძე გაუძღვება. არაფერია გამორიცხული, შესაძლოა, ვაჟა გუნდში დარჩეს, შესაძლოა, ტომარაძეც მოვიდეს. მოკლედ, ყველაფერს მალე გადავწყვეტთ.

**ირაკლი პერტაია**



# კურტინაიტისს ქართველები უყვარს, მაგრამ ქართველივით არ იქცევა: კალათბურთი სკამზე არ გაცვალა

*რიმას კურტინაიტისს რა წარდგენა სჭირდება. ჩვენში მას საკმაოდ კარგად იცნობენ. ლიტველი ვარსკვლავი ხშირად სტუმრობდა თბილისს, ოდესღაც ის კაუნასის „ჟალგირისს" „დინამოსთან" საომრად მოუძღვოდა.*

*კურტინაიტისი გუშინ კვლავ ეწვია საქართველოს დედაქალაქს, ამჯერად მწვრთნელის ამპლუაში. არახალია, რომ კურტინაიტისი ბაქოს „გალას" და მასთან ერთად აზერბაიჯანის ნაკრებსაც თავკაცობს. ახლა „გალა" ქართულ კლუბებთან სასპარინგოდ ჩამოსულა და გუშინ „სტუ-ჯეოსელთან" 10 ქულით დამარცხდა. კურტინაიტისი ისე ბორგავდა და ნერვიულობდა, თითქოს მისი „გალა" უპრინციპულეს მატჩს აგებდა. კალათბურთის სენით შეპყრობილ ლიტველს თურმე თამაშით გამოწვეული ემოციები ჰგვრის სიამოვნებას, თორემ თავისუფლად შეუძლია, მშვიდად ჩაბრძანდეს ლიტვის სპორტის მინისტრის სავარძელში, საიდანაც ის ამ რამდენიმე წლის წინ წამოდგა. მისი მეგობარი ხომ თავად ლიტვის პრეზიდენტი, რონალდას პაშკასია.*

*ჩვენც პირველად იმით დავაინტერესდით, თუ რატომ გადაწყვიტა კურტინაიტისმა მწვრთნელობა და მშფოთვარე ცხოვრება ...*

— მე ფიზკულტურის აკადემიის სამწვრთნელო ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული, ასე რომ, ახლა ჩემი პროფესიით ვმუშაობ. ყოველთვის მინდოდა მწვრთნელობა, მაგრამ ცხოვრება არ მაძლევდა საშუალებას. ამ საქმის თითქმის ყველა ნიუანსში ვერკვევი. ეგაა, დამოუკიდებელი არასდროს ვყოფილვარ. ბოლოს „ჟალგირისში" რომ ვთამაშობდი, ფაქტობრივად კაზლაუსკასის თანაშემწე ვიყავი, „ბკ კიევის" პრეზიდენტობისასაც ხშირად ვეხმარებოდი გუნდის თავკაც იგორს მიგლინიეკსს.

**— მაინცდამაინც აზერბაიჯანი რატომ შეარჩიეთ სადებიუტოდ, სხვა ვარიანტები არ გქონდათ?**

— მქონდა, მაგრამ აზერბაიჯანში უკეთესი პირობები შემომთავაზეს. თან ამ ქვეყანაში თითქმის არ არსებობდა კალათბურთი და მისი აღორძინება სიამოვნებას მანიჭებს.

**— თბილისური გუნდები რატომ შეარჩიეთ სასპარინგოდ?**

— „გალას" მიზანი ევროსარბიელზე ღირსეულად გამოსვლაა. ჩვენ გვინდოდა, „ჩელენჯ ქაფის" ბოლო გათამაშებაში მონაწილეობა, მაგრამ მცირე ფინანსური პრობლემები შეგვექმნა. სასპარინგოდაც ქართული კლუბები იმიტომ შევარჩიე, რომ საერთაშორისო გამოცდილება მივიღოთ. მარტო თქვენებურ კლუბებს კი არ ვეთამაშებით, ახლახან ლიტვაში ვიყავით, სადაც 10 შეხვედრა გავმართეთ.

**— ფინანსური პრობლემები ახსენეთ, ვიცით, რომ „გალას" შემძლე პატრონი ჰყავს...**

— ახლა ყველაფერი კარგადაა, მაშინ იყო მცირე პრობლემა. „გალას" ოფიციალური სპონსორია კომპანია „პეპსი", ისე კი ჰეიდარ ალიევის შვილიც გვპატრონობს, რომელიც აზერბაიჯანის ოლიმპიურ კომიტეტს თავკაცობს. კალათბურთის განვითარება, ასე ვთქვათ, სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია.

**— ყური მოვკარით, „გალას" აზერბაიჯანელი მენავთობეებიც ეხმარებიანო...**

— ეგ ჩვენთვისაც სასურველია, მაგრამ ჯერჯერობით ვერ ვახერხებთ მათ გადმობირებას. ვფიქრობ, მომავალი სეზონისთვის მენავთობეებზეც „გავალთ".

**— როგორ მიგდით საქმეები, წარმატებებს თუ აღწევთ?**

— ზოგადად აზერბაიჯანული კალათბურთისთვის ისაა წარმატება, რომ მისი პოპულარობა დღითი დღე მატულობს. წინა კვირაში ბაქოური „ოლ სტარი" მოვაწყვეთ, რომელსაც არნახულად ბევრი მაყურებელი დაესწრო. რაც შეეხება „გალას", შინაურ ჩემპიონატში კონკურენტი არ ჰყავს, საერთაშორისო მატჩებსაც ამიტომ ვმართავთ.

**— „სტუ-ჯეოსელთან" წაგების შემდეგ რას იტყვით საკუთარ გუნდზე?**

— საქართველოს ჩემპიონატში მეორე ადგილზე მყოფ კლუბთან 10 ქულით წაგება ჩვენთვის მოგებას ნიშნავს. ისე, მსაჯებს რომ არ აერიათ, მეტსაც მივაღწევდით. ერთადერთი, რაშიც მოწინააღმდეგეს ვაჯობეთ, ფიზიკური მომზადებაა. „გალას" თავისუფლად შეუძლია, მესამე ტაიმიც ითამაშოს, მაგრამ მხოლოდ ფიზმომზადება საქმეს არ შველის. ჩემს კალათბურთელებს საკალათბურთო აზროვნება აკლიათ, რაც ვარჯიშით ნაკლებად მიიღწევა.

**— შესაძლოა, „გალამ" ლეგიონერთა წყალობით გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს, მაგრამ თქვენ ხომ აზერბაიჯანის ნაკრებსაც თავკაცობთ. იქ რილას იმედი გაქვთ?**

— ნაკრებში მართლაც ბევრია სამუშაო. ადგილობრივი კადრებით შორს კარგა ხანს ვერ წავალთ, მაგრამ თუ მოვინდომებთ, რაღაც დონეზე მოვუმატებთ. შესაძლებელია, უცხოელთა ნატურალიზება ვცადოთ. ვნახოთ რა გამოვა.

**— „გალას" ქართველ გამთამაშებელ ნიკა ნოზაძესაც ხომ არ უპირებთ ნაკრებში აყვანას?**

— ნიკა მონდომებული ბიჭია, შეუძლია, აზერბაიჯანის ნაკრებშიც ითამაშოს, თუმცა ჯერ ადრეა ამაზე საუბარი.

**— სხვა ქართველების შემატებას ხომ არ აპირებთ?**

— ჯერჯერობით არა. ისე, ახლახან ორი ქართველი იყო ბაქოში, მაგრამ მათმა მზადყოფნამ არ დამაკმაყოფილა.

**— ორი დღის წინ საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს. თქვენთვის რომ შემოეთავაზებინათ ეს პოსტი, დათანხმდებოდით?**

— აუცილებლად. საქართველო ძალიან მიყვარს და მისი ნაკრების გაწვრთნა ჩემთვის დიდი სიამოვნება იქნებოდა.

**— საქართველო რა მოგონებებს იწვევს თქვენში?**

— ქართველი ჩემთვის ნიშნავს მეგობარს, მოკეთეს, საუცხოო მასპინძელს, მოსიყვარულე ადამიანს, შეუდარებელ ვაჟკაცს... ყოველ შემთხვევაში მე აქ სხვანაირი ხალხი არ მინახავს.

**— კონკრეტულად რას გაიხსენებდით?**

— საკალათბურთო მოედანზე მომხდარი ყოველი ეპიზოდი ღირშესანიშნავია. მე უფრო საქართველოში პირველად სტუმრობას გავიხსენებ. მაშინ 18 წლის ვიყავი, ლიტვის ახალგაზრდულ ნაკრებს ჩამოვყევი და წარმოიდგინეთ, მთელი გუნდი მთაში წაგვიყვანეს პიკნიკზე. პიკნიკი კი არა ქორწილივით სუფრა გაიშალა, მწვადების ტრიალი იყო.

**— საკალათბურთო კარიერიდან რომელია თქვენთვის დაუვიწყარი დღე?**

— სეულის ოლიმპიადის ფინალში ამერიკელები რომ დავამარცხეთ. ეს ამბავი მაშინ გმირობის ტოლფასი იყო.

**— ამერიკის ის ნაკრები სტუდენტური იყო. მათი დამარცხება თუ გმირობაა, მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე იუგოსლავიელთა მიერ ნბა-ს მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდის ძლევას რაღა ვუწოდოთ?**

— ესეც გმირობაა, თუმც, არა მგონია, საბჭოთა ნაკრების იმ გმირობაზე დიდი იყოს. ევროპა ვითარდება, სულ უფრო და უფრო უახლოვდება ნბა-ს. ის კი არა, ამერიკის ნაკრები იუგოსლავიელების გარდა არგენტინამ და ესპანეთმაც დაამარცხეს. ნბა-ში ევროპელთა რიცხვი არნახულად იზრდება. შორს არაა ის დრო, როცა ევროპული კალათბურთი ამერიკულს გაუთანაბრდება. ამ სპორტს მალე აღარ დაუძახებენ შავების თამაშს.

**— მოქმედი კალათბურთელებიდან უძლიერესად ვის მიიჩნევთ?**

— მაიკლ ჯორდანს. ამბობენ, დაბერდაო, მაგრამ ჯორდანი მაინც საუკეთესოა. ის დღესაც კლასიკურად თამაშობს. აბა, კობი ბრაიანტია მაგარი, რომელიც 47 ბურთს ისვრის მატჩში? ახლავე გაჩვენებთ ინტერვიუს, სადაც „ლეიკერსის" მწვრთნელი ფილ ჯეკსონი ამბობს, რომ ბრაიანტი უჭკუო კალათბურთელია, ის გაუთავებლად ისვრისო. ახლანდელი მოთამაშეები სტატისტიკაზე მონადირეები არიან. დაასრულებენ მატჩს და მერე ფურცლებით დარბიან, აი, ნახეთ, 40 ქულა ჩავაგდეო.

**— ბარემ ისიც გვითხარით, საუკეთესო ლიტველ და ქართველ კალათბურთელად ვის მიიჩნევთ?**

— მიჭირს ჩემებურთაგან ვინმეს გამორჩევა, მაგრამ მაინც არვიდას საბონისს დავასახელებდი. ქართველთაგან კი ჩემი აზრით საუკეთესო კოლია დერიუგინია, ტკაჩენკოს წინააღმდეგ 40-ქულიან მატჩებს ეხუმრებით?

**— თქვენ ლიტვის სპორტის მინისტრი იყავით, ეს პოსტი კვლავ რომ შემოგთავაზონ, ახლანდელ პროფესიას უღალატებთ?**

— შემომთავაზეს კიდეც, მაგრამ უარი ვთქვი. ლიტვის ახალი პრეზიდენტი როლანდას პაშკასი ჩემი მეგობარი და მთავრობას რომ აკომპლექტებდა, მეც დამიძახა. არ მინდა კაბინეტში ჯდომა, კალათბურთში უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს. აქ ხან ვაგებ, ხანაც ვიგებ, სწორედ ეს ცვალებადობა მანიჭებს უდიდეს სიამოვნებას. პარლამენტარობაც შემეძლო, კაუნასიდან მაჟორიტარად უკონკურენციოდ გავედი, მაგრამ უარი ვთქვი, ეს ჩემი საქმე არ არის, მხოლოდ მოედანზე ვგრძნობ თავს ბედნიერად.

**ირაკლი პერტაია**

# ერთადერთი

ეს ძალიან იშვიათი ამბავია და ძალიან იშვიათი ფოტოა. 250 კუბურსანტიმეტრიან მოტოთა მხედრების თემში სადღეისოდ ერთადერთი ქალია, გერმანელი კატია პოენსგენი. ახლა ჰოლანდიაში იისელშტეინის ტრასაზე დიდი შეჯიბრია და კატიაც მოსჯდომია თავის „ჰონდას“.






# არ-გენ-ტინა!

ასე ხარობენ არგენტინელი გოგონები, რომლებმაც ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში დიდი ტურნირი მოიგეს. მინდვრის ჰოკეისტ ქალთა სამხრეთამერიკულ შეჯიბრში არგენტინელებმა პერუელები დაამარცხეს, სიხარულს კი თვადაც ხედავთ.

# სამხრეთის წვიმა



ფლორიდა მზიან ალაგადაა ცნობილი, მაგრამ როგორც ყოველ სამხრეთულ ადგილს, მასაც მოულოდნელი და მხაპუნა წვიმები უყვარს. სწორედ ამგვარი წვიმა დაატყდა თავს კი ბისკეინის კორტს, სადაც „ნასდაქ-100“-ის საჩოგბურთო ტურნირი მიმდინარეობს. წვიმამ შეწყვიტა ვინუს უილიამსისა და ემანუელე გალიარდის შეხვედრა, რომელსაც, ძნელი მისახვედრი არ არის, ვინ იგებდა.

# ჯილდოები

ლაურუსის სპორტული ჯილდოები ყოველ წელს გადაეცემათ ხოლმე ორივე სქესის საუკეთესო სპორტსმენებს, გუნდებს, ახალბედებსა და ლამაზად დაბრუნებულებს. ჯილდოთა გაცემის ადგილი ბერლინია, თავად ქანდაკი კი მეტად ლამაზი ნივთი გახლავთ. ჰოდა, ჯილდოთა გაცემის ერთ-ერთი მონაწილეც, დიადი ბორის ბეკერი კარგ ხასიათზეა, ლაურეატებს კი მსოფლიოს 400 ჟურნალისტის გამოკითხვა ავლენს.



# საგოლფე ხმალი

ტაიგერ ვუდსის ხელში ყვანჯის ცქერას უფრო დაჩვეული ვართ, მაგრამ გოლფის კარუზომ ზედიზედ მეოთხედ მოიგო ბეი ჰილის ტურნირი, ფლორიდის ორლანდოში რომ იმართება ხოლმე გაზაფხულის პირველ თვეს და საგანგებო ჯილდოდაც ძვირფასი ხმალი ერგო. ახლა ეს თუ მოიქნია...




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროშჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფიჩხაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ასლამაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კუთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge